140
1968



11 პიონერი 1968

# სიტყვა, საქმით დამშვე-ნებული

რესპუბლიკის პიონერიამ იცის ქუთაისელ პიონერთა თაოსნობის ამბავი. მათ, უფროსი და-ძმების კვალდაკვალ, საკუთარი პიონერული ლენინური ორწლედი გამოაცხადეს. ამ თაოსნობას ბევრმა აუბა მხარი.

ჩვენს რეპორტაჟში გიამბობთ, როგორ იქცა საქმედ თაოსანთა სიტყვა.

## რა მოხდა იმ დღეს

„შევაგროვოთ 500 ტონა ჯართი".

(პიონერთა საქალაქო შტაბის მოწოდებიდან)

გაკვეთილები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორის კაბინეტში ტელეფონი რომ აწკრიალდა.

— სატრაქტორო ქარხნიდან გაწუხებთ. დღეს „ქუთაისელი პიონერის" პირველი ეგზემპლარი ჩამოვა კონვეიერიდან. 12 საათისათვის ველოდებით თქვენს დელეგაციას.

დირექტორმა ყურმილი დადო და დაფიქრდა. „ვინ წავიყვანო? ჯართის შეგროვებაში ყველამ იყოჩაღა. ყველას უნდა ამ ჯართით დამზადებული პირველი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის ნახვა. რომლები შევარჩიო?"

გაკვეთილების დაწყებამდე, დილის ვარჯიშის შემდეგ, სახელდახელო პიონერული ხაზი მოეწყო.

გადაწყდა:

დელეგაციაში ის პიონერები შევლენ, რომლებიც დღეს კარგ ნიშნებს მიიღებენ.

მასწავლებლები, ვინც ვერ მოასწრო პიონერული ხაზის გადაწყვეტილების შეტყობა, გაოცებულნი იყვნენ, რადა ყველას დღეს მოუნდა გამოძახებაო!

ნარგიზა მგელაძე

— მკითხეთ, მასწავლებელო!

— მე ამოვხსნი, მასწავლებელო!

— დაფასთან გამოვალ! — იხვეწებოდა ყველა.

ქარხანა ჩვეული ხმაურითა და ფუსფუსით შეეგება პიონერებს. საამქროებში საქმიანად დადიოდნენ ლურჯხალათიანი მუშები. რიტმულად მუშაობდა დაზგები.

იჭედებოდა ლითონი.

მთავარ კონვეიერზე, საიდანაც ტრაქტორი „რიონი“ გადმოდის, ახლა პიონერული ჯართით დამზადებული ტრაქტორი, „ქუთაისელი პიონერი“ უნდა გადმოსულიყო.

კონვეიერთან წითელი ქსოვილი გაეკრათ და ყვავილებით დაემშვენებინათ იქაურობა.

თავი მოიყარეს სტუმრებმა. ახალთახალი ტრაქტორი „ქუთაისელი პიონერი“ მზად არის კონვეიერიდან ჩამოსასვლელად...

— პიონერებო, დღეს შრომის ზეიმია. ეს ზეიმი თანაბრად გვეკუთვნის თქვენცა და ჩვენც. სწორედ თქვენი ხელით შეგროვებული ჯართი იქცა ამ ლამაზ ტრაქტორად, რომელიც შრომას უადვილებს ჩვენი მაღალმთიანი სოფლების კოლმეურნეებს. — მიმართა პიონერებს ქარხნის დირექტორმა სერგო აბზიანიძემ.

— აბა, თქვენში რომელს შეუძლია საჭის მართვა?

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლევან, მიდი, შენ ხომ იცი? — ხელი წაჰკრეს ამხანაგებმა ლევან ბოჭორიძეს.

თვალებგაბრწყინებული ლევანი საჭესთან დასკუპდა და ჩააფრინდა. მართვის სისტემას თვალდათვალ გადახედა და... ტრაქტორი დაიძრა.

— ვაშა! — იქუხა ტაშმა.

„ქუთაისელი პიონერი“ დაადგა თავის დიდ გზას.

ასე იქცა სიტყვა საქმედ!

მინაწერი:

**2.000 ასეთი ტრაქტორი კიდევ დამზადდება პიონერთა ხელით შეგროვებული ჯართისგან.**

„მივცეთ მხარი მხარს“

**„დავუმეგობრდებით სოფლის პიონერებს“**

**(მოწოდებიდან)**



თოხები ალესილია, განწყობილება მაღალია. 32-ე საშუალო სკოლის პიონერთა სიმღერა გამოაცოცხლებს სასკოლო ნაკვეთს.

— გეგუთში არ ყოფილხარ? დავით მეფისეული სასახლის ნანგრევები არ გინახავს?

არ გრცხვენია მერე? ქუთაისში მაინც არ ცხოვრობდე! ორ ნაბიჯზეა გეგუთთან! ის მაინც აღარ გამიმხილო, ბაგრატის ციხეზე არ ვყოფილვარო!

— ბაგრატის ციხეზე როგორ არ ვყოფილვარ, ვინ გგონივარ შენ! — იწყინა თანამოსაუბრემ. — ქალაქგარეთ კი მარტოს არ მიშვებენ, ექსკურსია არ მოგვიწყვია და რა მექნა!

— ჰოდა, ახლა გამოასწორებ მაგ შეცდომას. რამდენი წიგნი მოიტანე გეგუთის სკოლის ბიბლიოთეკისათვის?

ბიჭმა ჩანთა გახსნა და ოთხი წიგნი გაუწოდა ამხანაგს: „მეოთხე სიმაღლე“, „უმცროსი ვა-

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

11 ნოემბერი 1968

გამოცემის 42-ე წელი

ქიშვილის ქუჩა", ვაჟა ფშაველას „პოემები" და „საქართველოს ფლორა და ფაუნა".

— ყოჩაღ, კარგი წიგნებია, მეც ოთხი მომაქვს, — მოუწონა ამხანაგმა.

ეს ბიჭუნები 21-ე საშუალო სკოლის პიონერები იყვნენ. მათ ლენინურ ორწლედში გეგუთის სკოლაში ბიბლიოთეკის შექმნა იკისრეს.

პირველსავე კვირას 300-მდე წიგნმა მოიყარა თავი პიონერთა ოთახში.

— ეს წიგნები თუ დროზე არ წაიღეთ, ოთახში ტევა აღარ არის, — უთხრა პიონერხელმძღვანელმა რაჰიმა ნიგურიანმა დირექტორს.

გადაწყდა, პიონერები გეგუთში შაბათდღეს წავიდოდნენ.

მთელი კვირა პიონერებს „გეგუთი" ეკერათ პირზე.

მშობლებიც აიყოლიეს. ბევრმა მოისურვა გეგუთის ნახვა და, აი, ორი ავტობუსით მიადგნენ გეგუთის ციხეს.

საღამოს მთელმა სოფელმა აქ მოიყარა თავი. სტუმრებმა კონცერტი გამართეს.

მეორე ჩასვლაზე ქალაქელებმა კალათბურთის ფარები ჩაუტანეს თანატოლებს და თვითონაც გული იჯერეს თამაშით.

— სიმინდის ტეხვაშიც წაგეშველებით, — დაჰპირდნენ პიონერები მასპინძლებს.

**ათი სოფლის პიონერებისათვის შევქმნით საბავშვო ბიბლიოთეკებს, რისთვისაც 20.000 წიგნს შევაგროვებთ.**



21-ე საშუალო სკოლის პიონერებმა დამკვრელურ დროში შეაგროვეს წიგნები სოფლის პიონერებისათვის.

## რამდენი რვეული ეყოფათ ქუთაისელ პიონერებს?

**„შევაგროვებთ 40 ტონა მაკულატურას"**

**(მოწოდებიდან)**

აბა წარმოიდგინეთ, ქალაქში 12113 წითელყელსახვევიანი ბიჭი და გოგო დადის.

ჰოდა, ქუთაისელებმა გადაწყვიტეს იმდენი მაკულატურა შეაგროვონ, რომ მისგან დამზადებული რვეულები ამ ქალაქის ყველა მოსწავლეს 2 წელიწადს ეყოს.

ქაღალდი მჩატეა.

აბა, წარმოიდგინეთ, პიონერებმა რამდენი ქაღალდი უნდა შეაგროვონ, რომ სიტყვა არ გატეხონ. სიტყვა კი, მოგეხსენებათ, თავისთავად არაფერია, თუ საქმით არ არის დამშვენებული.

## „რა არის კარგი და რა არის ცუდი"

**„კეთილსინდისიერად ვისწავლოთ, ვეცადოთ არცერთი პიონერი არ დარჩეს იმავე კლასში.**

**(მოწოდებიდან.)**

ირგვლივ საზეიმო სიჩუმე სუფევდა.

მხოლოდ პატაკისათვის მიმავალი პიონერის მკვეთრი ნაბიჯის ხმა თუ ისმოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბის თავმჯდომარე მედეა გოქაძე (მარჯვნივ): — პიონერული ორწლედით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება ჩვენი ღირსების საქმეა.

პიონერთა საქალაქო შტაბის თავმჯდომარე მედეა გოქაძე პატაკებს იბარებდა.

ეს იყო 22 აპრილს, ბელადის დაბადების დღეს. ეს საზეიმო დაპირება — პატაკები დიდი ბელადის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი.

მე-5 საშუალო სკოლის მე-3 რაზმმა წამოაყენა ლოზუნგი: „მთელი კლასი — შემდეგ კლასში“.

ეს იყო ყველაზე საუკეთესო დაპირება.

ყველა პიონერული საქმიანობა მაშინ იქნება კარგი და მოსაწონი, თუ მთავარი არ დაგვავიწყდება: „სწავლა, სწავლა და სწავლა“.

ქუთათურებმა სხვაც ბევრი რამ იკისრეს ლენინურ ორწლედში გასაკეთებლად.

თითქმის ყველა სკოლაში მოეწყო ლენინის ოთახები, სტენდები, მუზეუმები...

გამწვანდა საავტომობილო ქარხნისკენ მიმავალი გზატკეცილი... დაირგო 30.000 ხე და ბუჩქი...

მოეწყო ინტერნაციონალური მეგობრობის ოთახები... დღეს მთელი რესპუბლიკა ეხმიანება ქუთაისელთა წამოწყებას. თაოსნებს ეს ახარებთ და ერთიორად ახალისებთ.

ფოტო გ. მაღლაკელიძისა.

# ჩემი მამული

**სიმონ შამფრიანი**

ზღვად გაშლილი ველების
ეშხი მარადჟამული,
მდინარეთა ქუხილი,
ბრწყინვალება ქედების, —
აი ჩემი ქვეყანა,
ჩემი დიდი მამული;
მე ის მეიმედება,
მე მას ვეიმედები.

ერთად მივალთ ორთავე,
გზა შორი და სწორია,
წინ სივრცეა კრიალა,
ცისარტყელას ფერები...
მწვერვალები გველიან
და მე ასე მგონია, —
მალე მთვარეს საკუთარ
ხელით მივეფერები...

ხარობს ჩემი მამული, —
ცხელი მზის ასპარეზი,
სიმაღლეთა ზედიზედ
ჯიქურ გადამლახველი;
რეკავს, სულში წკრიალებს
ჰანგი უანკარესი —
ყველაფერზე მაღალი
მისი წმინდა სახელი.

ვარსკვლავეთში ბრიალებს
მისი დროშა მართალი,
კიდითკიდე სინათლის
უხვად მიმომფანტველი,
და ხასხასებს ათასფრად
მიწის მკერდი გამთბარი,
ლაჟვარდებში დაჰქრიან
არწივების მართვენი.

ყველგან — შრომის დიდება,
შრომის დღესასწაული;
სიმღერების გუგუნი
მთებს და ველებს ედება, —
აი, ჩემი ქვეყანა,
ჩემი დიდი მამული,
მე მას ვეიმედები,
მე ის მეიმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბედნოტის“ შიკრიკი

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.

ს. ვინოგრადსკაია

ვალოდია მეთექვსმეტე წელში იყო გადამდგარი. რამდენჯერმე ითხოვა წითელ არმიაში წაეყვანათ. „ასეთ დროს მამაკაცის ადგილი მხოლოდ ფრონტზეა; კონტრრევოლუციას უნდა ანადგურებდე, მორჩა და გათავდა!“ — იმეორებდა დაჟინებით.

მაგრამ ვალოდია ჯარში არ წაიყვანეს.

— ჯერ ადრეა, მოუსწრებიო, — უთხრეს...

და „ბედნოტის“ რედაქციაში შიკრიკად გაგზავნეს. რედაქცია ვაგანკოვის წყნარ შესახვევში მდებარეობდა. ძველი, მდიდრული სახლის უზარმაზარ ოთახებში ახლა საკანცელარიო მაგიდები იდგა. მაგიდებზე ეყარა ქაღალდები, ხელნაწერები, წერილები. მაგიდების ქვეშ, მავთულის კალათებში, ისევ ხელნაწერები, წერილები, ქაღალდები ეყარა. კარადებში, თაროებზე ქაღალდები ეწყო. ვალოდიას სხვადასხვა დაწესებულებაში აგზავნიდნენ. მას წინ და უკან დაჰქონდა ეს ქაღალდები. ასე იყო ყოველდღე.

„თოფის ნაცვლად ქაღალდი — დასცინოდა ვალოდია თავის ბედს. — საწყენია...“

მაგრამ დღეს ჭაბუკი შიკრიკის ცხოვრებაში დიდი ამბავი მოხდა. დღეს, „ბედნოტის“ რედაქციაში ლენინმა დარეკა და მოითხოვა სასწრაფოდ მიეტანათ მისთვის ვლადიმირელი გლეხის — ჩეკუნოვის წერილი.

ეს გლეხი რედაქციას ატყობინებდა, ჩემი სოფლის საბჭოში კულაკები გაძვრნენ და გლეხებს მიწები უკანონოდ დაუნაწილესო.

— ილიჩს აგრეთვე სხვა გლეხების წერილებიც აინტერესებს, რომლებიც მიწის საკითხებს შეეხება, — თქვა თავის წრიპინა ხმით მხრებში მოხრილმა, სათვალიანმა, უკვე ხანში შესულმა რედაქტორმა, წაბლისფერი წვერი რომ ჰქონდა. რედაქტორს ლენინი კარგად იცნობდა ემიგრაციის წლებიდან. — მარგარიტა ვლადიმერის ასულო, შეარჩიეთ ყველაზე საინტერესონი ამ ხასიათის წერილებიდან...

მარგარიტა ვლადიმერის ასული იამშჩიკოვა მწერალი იყო. მოსკოვში სამხედრო ორგანიზაციის მუშაკებთან ერთად ჩამოვიდა. ახლა რედაქციაში გლეხთა წერილების განყოფილებას განაგებდა. მან მაგიდაზე დადო გლეხ ჩეკუნოვის სამკუთხა ბარათი. შემდეგ საქაღალდეებში მოძებნა და რედაქტორს გაუწოდა კიდევ რამდენიმე წერილი, წყალწყალა მელნით, ქიმიური ფანქრით ბატიფეხურად დაჯღაბნილი, ზოგი სახვევ ქაღალდზე, ზოგიც რვეულის ფურცელსა და საკანცელარიო ანგარიშების მეორე გვერდზე დაწერილი.

ასეთები იყო მაშინ რუსული სოფლიდან გამოგზავნილი წერილები. ვიდრე რედაქტორი ყველაფერ ამას გადახედავდა, მარგარიტა ვლადიმერის ასულმა შიკრიკი გამოიძახა, ჩეკუნოვის წერილი უჩვენა და სთხოვა მოიცადე, ვიდრე რედაქტორი დანარჩენებს გადაათვალიერებსო. თვითონ კი სხვა საქმეს მიუბრუნდა. იგი მორიგ, პატარა ალამს ამაგრებდა რუსეთის ვეება რუკაზე, რომელზეც ძველებური ადმინისტრაციული დანაყოფები, გუბერნიები და მაზრები იყო აღნიშნული. ეს ალმები უჩვენებდნენ რუსეთის რომელი გუბერნიიდან და მაზრიდან მოდიოდა „ბედნოტაში“ წერილები.

ჭაბუკ შიკრიკს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მარგარიტა ვლადიმერის ასულის ეს საქმიანობა. ბიჭი თაყვანს სცემდა ამ ქალს, რომელიც ოქტომბრის დღეებში ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობდა, და მამაკაცური სახელითა და გვარით „ალ. ალტაევი“ — წერდა რომანებს. იგი თავდავიწყებით კითხულობდა მის წიგნებს და ვერაფრით ვერ აეხსნა, რა იყო მიზეზი, რომ მწერალი ქალი, რომელსაც შეეძლო ასეთი საინტერესო ამბების შეთხზვა, თავს იმტვრევდა სხვის წერილებზე, ასწორებდა მათ. ამ წერილებში კი, ბიჭმა ძალიან კარგად იცის, სულ ერთი და იგივეა — მიწა, თესლი, ცხენი...

— ეჰ, — ხვნეშის ვალოდია, — ერთი ცხენი მოეცათ და ფრონტზე გაეგზავნათ, მაშინ ნახავდნენ იქიდან რა წერილებსაც მოიწერდა .. აი, მაშინ მართლაც ეღირებოდა რუკაზე ალმების ჩარჭობა. რადგან, ალამი იქ უნდა ჩაარჭო, სადაც თეთრებს გაანადგურებენ. სხვა ყველაფერი სისულელეა!

ჩვეულებრივ ასე მსჯელობდა ვალოდია...

მაგრამ დღეს ეს ჩვეულებრივი მსჯელობა, ცოტა არ იყოს, შეირყა. როგორც ირკვევა, თვითონ ლენინს მოუთხოვია გლეხების წერილები და ახლა ვალოდიამ უნდა წაუღოს ისინი ლენინს.

— საწყენია, რომ არა გვაქვს ამ წერილების გადაბეჭდვის საშუალება... — წუხდა იამშჩიკოვა. — და ვლადიმერ ილიას ძეს ასე უნდა გავუგზავნოთ...

მან გულმოდგინედ დაალაგა ყველაფერი, რაც რედაქტორმა ლენინისთვის გადაარჩია და ვალოდიას მისცა:

— აბა სწრაფად! საშვი უკვე შეკვეთილია!

შიკრიკმა ქოჩორა თავზე სასწრაფოდ მოიგდო დაჭმუჭნული კეპი, დაცრეცილი ჯარისკაცული ფარაჯის ჯიბეში წერილები ჩაიდო და კრემლისაკენ მოუსვა. ქარი მოსასხამივით უფრიალებდა ფარაჯას.

კრემლის ტროიცკის კოშკში ვალოდია თუჯის ალაყაფის კარებში დატანებული პატარა ჭიშკრიდან შევიდა. ბნელი თაღი მაღლა, სულ ზევით, უკუნ სიბნელეში იკარგებოდა. ნესტის სუნი იდგა. ყველაფერი ძველი იყო, სა-

უკუნეებში ჩაფლული მხოლოდ ორი კურსანტი იყო ახალგაზრდა, მათ ნათელი სახე და ცოცხალი გამოხედვა ამშვენებდათ. ერთი კედლის გასწვრივ დააბიჯებდა, მეორე საშვებებს ამოწმებდა.

„ეშმაკმა დალახვროს! — ფიქრობდა ვალოდია. — სულ ცოტათი თუ იქნება ჩემზე უფროსი და, უკვე კურსანტია, თოფით კრემლს სდარაჯობს, საშვებებს ამოწმებს...“

ვალოდიას იმ წუთში ძალიან შეშურდა კურსანტის ბედი; სად აქ თოფით სიარული და, სად ქაღალდების ტარება! მერე ერთბაშად გაიაზრა: ახლა ლენინთან ეს კურსანტი კი არ შევა, მე — შიკრიკი შევალო და, ისევ თავისი ბედი ამჯობინა.

გუშაგმა საშვი დაუბრუნა და ვალოდია პირქუში კოშკიდან კრემლის მზიან მოედანზე გავიდა. მარცხნივ არსენალის ყვითელ, ბათქაშმორღვეულ კედლებთან დიდი და მცირე ზარბაზნები ჩამწკრივებულიყო, თავის დროზე რუსმა ჯარებმა ნაპოლეონს რომ დაატოვებინეს ნადავლად. ლაფეტებზე ბალახი ამოსულიყო. ლულები გრძელი ხორთუმებივით იყო ჩარჭობილი მიწაში. ისინი თითქოს თავს უხრიდნენ ვალოდიას, ბიჭი კი გამართული, მწყობრი ნაბიჯით მიდიოდა.

მოჭქროდნენ ბრეზენტის სახურავებიანი და ქარსის სარკმლებიანი გვერდებჩამოგლეჯილი მანქანები. ისინი ერთბაშად ჩნდებოდნენ სპასკთან, ჩუდოვთან, კავალერისკის, პოტემნის საცხოვრებელ კორპუსებთან და სადღაც, თეთრი დერეფნის თაღს მიღმა თვალს ეფარებოდნენ. მარჯვნივ სასახლეები, ტაძრები, კოშკები, დარბაზები, მქრქალგუმბათებიანი სამრეკლოები მოჩანდა. განცალკევებით, სხვებისაგან მოშორებით, მეფური მედიდურობით იდგა მეფე ზარბაზანი, რომელიც არ ისროდა, მეფე ზარი, რომელიც არ რეკავდა და, მონარქების მოზაიკური, თითქოს მოკვეთილი თავები.

იქ, მოედნის დასავლეთ მხარეს, ისტორია გარინდულიყო.

შიკრიკი კი პირდაპირ აღმოსავლეთისკენ მიდიოდა— მაღალი შენობისაკენ, სადაც ისტორია იქმნებოდა. და აი, მიაღწია ცაკისა და სახკომსაბჭოს ნათელ შენობას. სასახლის გუმბათზე ქარს ებრძოდა ვეება წითელი ალამი.

დაბოლოს, ვალოდიამ გრძელი, ვიწრო დერეფნები გაიარა და კითხვა-კითხვით საჭირო კარს მიადგა. მან ძალა მოიკრიბა, რომ ეს კარი მშვიდად შეეღო. ამ კარს მიღმა ხომ ლენინი მუშაობდა. ახლა ვალოდია ეტყვის: „ამხანაგო ლენინ, მე მოვიტანე ჩეკუნოვისა და კიდევ რამდენიმე სხვა გლეხის წერილები, სოფლად აგრარული რევოლუციის მიმდინარეობის შესახებ“.

კარგი იქნება, თუ ასე ერთბაშად შესძლებს ყველაფრის თქმას.

შიკრიკმა კარი გააღო.

ეს დიდი ოთახი ლენინის კაბინეტი არ იყო, აქ მისი სამდივნო მუშაობდა. ვალოდია რომ შევიდა, ვიღაცამ ხმამაღლა თქვა: „მარია ეგნატეს ასულო, „ბედნოტიდან“ მოვიდნენ“. ბიჭს უხმოდ ჩამოართვეს წერილები და მეორე ოთახში შეიტანეს.

უცებ კარი გაიღო და იქიდან ლენინი გამოვიდა.

—ეს თქვენა ხართ, ამხანაგო, „ბედნოტიდან?“ სად არის ჩეკუნოვის წერილი?

— ჩეკუნოვის წერილი? — შეძრწუნდა ვალოდია. — განა არ მომიცია?

— ჩეკუნოვის წერილს მე აქ ვერ ვხედავ, — ლენინმა წერილების დასტა უჩვენა.



ვალოდიამ დაცრეცილი ფარაჯის ჯიბეში ჩაიყო ხელი, რაღაც ქაღალდი მოჰყვა და ამოიღო. არა, ეს კრემლში შემოსასვლელი საშვი იყო. ახლა მეორე ჯიბე მოისინჯა — წერილი არც აქ იყო. მერე ფარაჯა გაიხსნა, იქნებ შარვლის ჯიბეში იყოს.

— მანდ რატომ ეძებთ? — ლენინმა ჯიბეებზე მიუთითა — რით დაგაქვთ წერილები?

— ჯიბით...

— უბრალო ჯიბით? — გაუკვირდა ლენინს. — რატომ ჩანთაში არ აწყობთ?

— ჩანთით ქალები დადიან...

— ქალები? — გაიმეორა ლენინმა. — ჯარისკაცები? აი, ჩვენთან სახკომსაბჭოში მთავრობის პაკეტები მხოლოდ ჩანთით დააქვთ.

ვალოდია დუმდა. დაძაბული ელოდა რა მოხდებოდა.

— თქვენი სახელი? — მოულოდნელად დაინტერესდა ლენინი.

— ვალოდია...

— ჰმ... — ლენინმა ცერად შეხედა თავის სეხნია შიკრიკს, თითქოს მიმართვის შესაფერის ფორმას ეძებსო და ბოლოს ჰკითხა: — მითხარით, ახალგაზრდა ამხანაგო, სულ რამდენი წერილი გამომიგზავნა რედაქციამ?

— არ დამითვლია... რამდენიც მომცეს, სულ მოვიტანე.

— იქ, თქვენთან, წერილები რომ ჩაიბარე, ხელი მოაწერე?

— მე არასოდეს არ ვაწერ ხელს. — თქვა ვალოდიამ და განმარტა: — მენდობიან...

— გენდობიან? — გაიმეორა ლენინმა — მაშ ასე — და თითქოს ცდილობს საქმის ვითარებას ჩასწვდესო — რამდენჯერმე გაიმეორა: — გენდობიან... გენდობიან, მაშასადამე... ისინი გენდობიან და თქვენ ხელს არ აწერთ, თქვენ მათ ენდეთ და არ დათვალეთ რამდენი წერილი ჩაგაბარეს. მეც მენდობით?

— ცხადია! — ფიცხლად მიუგო შიკრიკმა.

— მე თუ წერილებს დავიტოვებ, ხელწერილს არ მომთხოვთ?

— თქვენ, ამხანაგო ლენინ? ხელწერილს?! — და ბიჭმა მორიდებით გაიღიმა: „ცხადია, ლენინი ამას ხუმრობით ამბობს". მერე ბელადს თამამად უთხრა:

— თქვენ, ამხანაგო ლენინ, ხელწერილს არავინ მოგთხოვთ, თქვენ ყველანი გენდობიან.

— მენდობიან... — ნაღვლიანად გაიმეორა ლენინმა. — ყველანი... მერედა, გვენდობა ჩვენ გლეხი ჩეკუნოვი? თუ ასე მოვიქცევით...

— მე მას ცუდად არ მოვქცევივარ! — სასოწარკვეთით წამოიძახა ბიჭმა. — მე ახლავე გავიქცევი, წერილი იქ იქნება, ისე, ცალკე იდო. ახლავე მოვიტან...

— ახლა არა, — შეაჩერა შიკრიკი ლენინმა, — დღეს უკვე გვიან არის, ხვალ მოიტანეთ, ახლა კი თქვენს საქმეში ცოტა წესრიგი შევიტანოთ.

მერე იქვე მდგომ თანამშრომელ ქალს მიუბრუნდა და სთხოვა:

— მარია ეგნატეს ასულო, მომეცით, გეთაყვა, რვეული. დიახ, დიახ, ჩვეულებრივი სასკოლო რვეული.

სათვალიანმა ქალიშვილმა თხელი რვეული მოიტანა, რომელსაც ცისფერ ყდაზე ეწერა დევიზი: „სთესეთ გონივრული, კეთილი, მარადიული!"

ლენინმა რვეული გაშალა:

— ფურცელი ჯერ უნდა დაიხაზოს — განმარტა მან და მერე შიკრიკს მიუბრუნდა: — შეგიძლიათ თვითონ დახაზოთ? კეთილი. მაშასადამე, სამ გრაფად. და თვითეულში უნდა ჩაიწეროს: ვისგან არის წერილი გამოგზავნილი — პირველ გრაფაში; ვის გაეგზავნა — შუა გრაფაში; ამ მესამე გრაფაში კი მიმღები ხელს მოაწერს. ჩემს მაგიერ ხელს მარიამ ეგნატეს ასული მოგიწერთ ხოლმე. — ლენინმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, — მე მას ვენდობი.

გაცბუნებული უსმენდა შიკრიკი ლენინის განმარტებას.

— ყველაფერი გაიგეთ? — ჰკითხა ლენინმა. და გაიმეორა: — ყველა წერილი აქ უნდა ჩაწეროთ და რვეულთან ერთად მოიტანოთ. იქ, რედაქციაში კი, მეორე რვეული უნდა შემოიღოთ, რომელშიც თქვენ მოაწერთ ხელს.

— ამხანაგო ლენინ, თქვენ ხომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგი ხართ... რა საჭიროა ასეთი ბიუროკრატიზმი! — გულწრფელად შეძრწუნდა ბიჭი.

— ბიუროკრატიზმი? ახალგაზრდა ამხანაგო, თქვენ გესმით თუ არა იმ სამუშაოს მნიშვნელობა, რომელიც თქვენ განდეს? ეს წერილები გვაკავშირებს ჩვენ რუსეთის გლეხთა მასებთან...

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მახვილ მზერაში ვალოდიამ გაფაციცება შენიშნა. თვალებში ნაპერწკლებმა იელვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი ეს არის შემოდგომა

## ნაზი კილასონია

მაინც რა არის შემოდგომა?
მზე რომ გვიან-გვიან შემოდგება —
იქნებ ეს არის შემოდგომა?
ტყე რომ იჩონჩხება შენობებად,
მთლად წითელ-ყვითელ შენობებად,
იქნებ ესეც არის შემოდგომა?

შემოდგომა — ეს არის სინაზე:
ქარის ნაკვალევი სილაზე,
წვიმა საყვარელი მინაზე.
აი, ესეც არის შემოდგომა!

შემოდგომა ფრინველთა ფრთებია,
შორეულ მანძილს რომ შებმიან.
პაპები მზვარესთან თბებიან,
შუბლზე ხელს იჩრდილებს ბებია:
„ჰაუ, ჰაუ, ყვავო და ყვანჩალა,
ორივე ჭირმა გაგცალა!“
აი, ასეთია შემოდგომა...

დაბლა ეშვებიან ღრუბლები,
შორს ქედებს უელავთ შუბლები,
ბინდში ყუჩდებიან უბნები,
ნელინელ ეშვება ღრუბლები...
კიდევ რა არის შემოდგომა?
გათიშილ მინდვრების წამოდგომა.
ალვების მღურვა და შარიშური,
წიგნი, ნეკერჩხალით ჩანიშნული.
აი, როგორია შემოდგომა!

შემოდგომა კიდევ ძახილია,
გზაზე გაბაწრული ნახირია,
ბოჩოლას ეჟვანის წკარუნია,
მიწაში გამთბარი წყარონია.

შემოდგომა კიდევ ზღაპარია,
კერიის ცეცხლი რომ აბარია,
თუ ჭრელი საბანი გაფარია, —
კონკიაც, წიქარაც აქ არიან.
შემოდგომა ტკბილი ზღაპარია!

შემოდგომა დარჩენილი მერცხალია,
შენსავით მკვირცხლი და ფერცხალია.
თავზე ვაზის ქუდი ახურია,
მე მგონი — ის ქუდი კახურია.

სულ თავაღებული დააბიჯებს,
ბიჭებს მოზვრებივით დააჭიდებს.
ზვარში რომ მთვრალი მტევნებია,
მისი ქეშიკი და მდევრებია.
ქვევრში რომ მაჭრის დუღილია, —
ესეც შემოდგომის ქუხილია.
აი, როგორია შემოდგომა!

გათიშილ მინდვრების წამოდგომა,
ალვების ჩურჩულით შარიშური,
წიგნი, ნეკერჩხალით ჩანიშნული.
რა მშვენიერია შემოდგომა!

---

სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ კი შიკრიკის თვალებში ცრემლი დაინახა. მის წინ გამხდარი, პირმელი, სხვის ნახმარ ფარაჯაში გამოწყობილი ბიჭუნა იდგა და თვალებში ცრემლი მორეოდა.

— ეს ბიუროკრატიზმი როდია, ჰაბუკო, — ლენინმა ხმას შეურბილა. — ეს წესრიგია... ასეთი ბიუროკრატიზმი ჩვენთვის აუცილებელიც არის.

ვალოდია აღელვებული აწვალებდა ხელში რვეულს.

— მაგ რვეულს რას ერჩი? — უკვე მთლად გულკეთილად ჰკითხა ლენინმა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იქვე თანამშრომლის მაგიდაზე დაიხარა, უბის წიგნაკის ფურცელზე რაღაც დაწერა და ფურცელი ამოხია.

— ამხანაგო გლიასერ, აი ბარათი, ეს ახალგაზრდა ამხანაგი რომ ასადილონ. მიეცით ხელწერილი, რომ მიიღეთ მისგან 8 წერილი, უჩვენეთ გვარები — ვისი წერილებია. ამ ხელწერილს, — ლენინი ისევ შიკრიკს მიუბრუნდა, — თქვენ რედაქციაში ჩააბარებთ. ნუ გრცხვენიათ. ასეთი ბიუროკრატიზმი სასარგებლოა. ოღონდ... მხოლოდ ასეთი!

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე თავის კაბინეტში შევიდა.

ვალოდია კი თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა კრემლიდან. სადილს არც დაელოდა, ის დაკარგული წერილის მოსაძებნად გარბოდა.

ისევ გასინჯეს კურსანტებმა საშვი. კვლავ მიწამდე უხრიდნენ თავს ნაპოლეონისეული ზარბაზნები. კვლავ დაჰქროდნენ ალექსანდრეს ბაღის თავზე ფრინველები გუნდ-გუნდად. მაგრამ ბიჭს მათთვის არ ეცალა...

— ვალოდია! გაასავსავა ხელები იამშჩიკოვამ. — ვალოდია! — იძახდა ერთბაშად ურიცხვი ხმა — შენ ხომ დაგრჩა ჩეკუნოვის წერილი!

— მომეცით — ხრინწიანად თქვა ვალოდიამ. — მომეცით ჩანთა ამ წერილისათვის და ახლავე წავიღებ! — მან ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი და თავი იქით გაიქნია, საითაც კრემლი ეგულებოდა.

იამშჩიკოვა ერთბაშად მიხვდა ყველაფერს და თვალის დახამხამებაში მაგიდაზე გადმოაპირქვავა თავისი მწვანე, სადაფის ლამაზი შესაკრავიანი ნატის ჩანთა, — აჰა!

— არა! — უარი თქვა ვალოდიამ — ასეთი არა!

მერე ირგვლივ მიმოიხედა, მაგიდიდან ერთი საქაღალდე დაითრია, გადმოყარა ხელნაწერები, შიგ ჩეკუნოვის წერილი ჩადო და კარისკენ გასწია, მაგრამ ერთბაშად შედგა (რაღაც გაახსენდა) ჯიბიდან სახკომსაბჭოს სამდივნოს ხელწერილი და ცისფერყდიანი რვეული ამოიღო.

ვალოდია მაგიდას მიუჯდა. რვეული გაშალა და პირველ გვერდზე ზემოდან ქვევით ხაზი გაავლო. შემდეგ რვეული შეაბრუნა და გარდიგარდმო კიდევ ორი ხაზი გაავლო. ისევ შეაბრუნა რვეული. და დაიწყო ჯერ პირველი, მერე დანარჩენი გრაფების შევსება...

მეორე დილით მან ლენინს წერილი წაუღო. წერილი საქაღალდეში იდო. რვეულიც იქვე იდო და შიკრიკმა წერილის მიმღებს მესამე გრაფაში ხელის მოწერა მოსთხოვა.

ვალერიან
ჩეკურიშვილი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

მოთხრობა

# პაპაჩემი

ბილიკი, რომელზეც პარაშუტისტს უნდა გამოევლო, ჩვენგან ხუთ-ექვს მეტრზე იყო.

ჩუმად ვისხედით.

ხან გაღმა ფერდობისაკენ ვიყურებოდით, ხან აქეთ— ხეზე ჩამოკონწიალებულისაკენ. იგი ერთხანს ძალიან უხერხულად ეკიდა, მაგრამ იმდენი იქანავა, იმდენი აწვალა თოკები, ვიდრე არ გასწორდა.

მე და პაპამ გერმანელის შეპყრობის გეგმა ასე დავაწყვეთ: პაპა ხელებს ააწევინებდა, მე კი მივდიოდი და იარაღს ავყრიდი. ვისხედით და ველოდით.

კარგა ხანს მოგვიხდა მოცდა.

ხეზე დაკიდებულმა ისევ დაიწყო ქანაობა. მაგრამ, ჩვენს ბედად, ისე მაგრად იყო ტოტებში გახლართული, ვერაფრით ვერ ჩამოდიოდა ძირს.

ბოლოს და ბოლოს, დასრულდა მოლოდინი, — გაღმა ფერდობიდან ფეხის ხმა გავიგონეთ. მალე კაციც გამოჩნდა. ზურგჩანთა და ავტომატი ეკიდა. ისე არხეინად ჩამოდიოდა დაღმართზე, ეტყობოდა, არავითარ საფრთხეს არ ელოდა.

პაპამ რომ დაინახა, შაშხანა მოიმარჯვა.

მე გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ალბათ სახეზე შემატყო ღელვა, პაპამ გამიღიმა. მივხვდი, პაპა ჩემს გასამხნევებლად იღიმებოდა. მე მართლაც ცოტა მომეშვა გულზე, მაგრამ მაინც დაძაბული ვიყავი.

კაცი ხევს მოადგა და აღმა აუხვია. პაპა შეცბუნდა— ხომ არ შევცდი, ზევით მეორე ბილიკიც ხომ არ არისო. მაგრამ პარაშუტისტი მალე ისევ დაბრუნდა და, სწორედ იქ, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, ხევში ჩავიდა.

თვალს რომ მოეფარა, პაპას მოუსვენრობა დაეტყო. რამდენჯერმე ფრთხილად წამოიწია და გაიხედა. მერე უცებ გაინაბა და წამჩურჩულა:

— მოდის!

„მოვიდეს, ჩვენც აქ დავხვდებით“, — ვთქვი გულში. მეც თოფს ვიყავი ჩახუტებული და თვალი იმ წერტილისათვის მქონდა მიბჯენილი, სადაც ის დაუპატიჟებელი უნდა გამოჩენილიყო.

ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მერე თვითონაც გამოჩნდა. იგი დათვის ბილიკს აუჩქარებლად მოჰყვებოდა. ხან ზევით იყურებოდა, ხან — ქვევით. პაპამ იმწამსვე ნიშანში ამოიღო. მე, გარინდებული, ფრთხილად ვსუნთქავდი.

გერმანელი სულ ახლოს მოვიდა, იქვე — ჩვენს წინ.

„ერთი ნაბიჯიც, ან ორი და...“ — გაფიქრება ვერც კი მოვასწარი, რომ პაპა თინიბექმა დაიქუხა:

— რუკი ვერხ!

როგორც ყუმბარა, ისე დაეცა თავზე გერმანელს მოულოდნელი ბრძანება. შეშფოთებით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერ დაგვინახა.

— ხელები ასწიე, თორემ გესვრი!

მეტი რა გზა ჰქონდა, ასწია.

— ზურგისა-კენ! — კვლავ რუსულად უბრძანა პაპამ.

შეტრიალდა.

— ხელი არ დასწიო. ფეხი არ გადადგა, თორემ დაგცხრილავ! ამხანაგო გედეხაური, აჰყარე იარაღი, — ახლა მე მიბრძანა.

თოფი იქვე დავტოვე, წამოვდექი და ჩავირბინე.

ცოცხალი ფაშისტი აქამდე არსად მენახა. ჩემს წარმოდგენაში ისინი ნამდვილ კაციჭამიებს ჰგავდნენ. ჰოდა, როგორი საქმეა, კაციჭამიასთან მიხვიდე და იარაღი აჰყარო!.. მაგრამ მე მაინც მივედი ისეთი შუბლშეკრული და დაბღვერილი, რომ ამით მინდოდა მეთქვა, — მე შენი კაციჭამიობისა და მიღრეცილ-მოღრეცილ ცხვირ-პირისა არ მეშინია-მეთქი! მივედი, მაგრამ იმ კაცს სულ არ ჰქონდა დაჯღანული სახე, ჩვეულებრივი ა დ ა მ ი ა ნ ი იყო.

პირველად კისერზე ჩამოკიდებულ ავტომატს მივწვდი. კაცმა თვალებში ისეთნაირად შემომხედა, შემეშინდა, კინაღამ უკან გამოვტრიალდი, მაგრამ გამახსენდა პაპას





დასასრული. იხ. „პიონერი“ № 8, 9, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამი, — არ უნდა შეგატყოს, რომ გეშინიაო. ჰოდა, მის მზერას მეც თვალები გავუსწორე და უფრო შევუბღვირე. მან თვალი კი ამარიდა, მაგრამ, ვიდრე ავტომატს მოვხსნიდი, სულ მეგონა, რომ მაღლა აწეულ ხელებს უცებ ჩამცხებდა თავში და...

ვერაფერიც ვერ გაბედა.

ავტომატი რომ მოვხსენი, მერე უფრო გაბედული გავხდი. მივადექი და ყველა ჯიბე გადმოვუტრიალე, რაც კი რამ გააჩნდა, ამოვყარე, ამოვაცალე.

ავტომატი, სამი პისტოლეტი, დანა, რაღაც-რაღაცებით გატენილი ზურგჩანთა პაპასთან მივიტანე და მის ფეხებთან დავყარე.

— ჩადი, ქამარი შემოხსენი და ჩექმის ყელები გაუსინჯე! — ისევ მიბრძანა.

მე ახლა უფრო ყოჩაღად შევასრულე ბრძანება. ტყვეს ჩექმის ყელში ერთი დანა და პატარა რევოლვერი კიდევ ვუპოვნე.

— კარგად ნახე, არაფერი დაუტოვო.

— მეტი აღარაფერი აქვს!

— მაშინ პარაშუტს თოკი ააჭერი!

ავაჭერი.

— მაგ თოკით ხელები ზურგსუკან გაუკარი.

გავუკარი. ისე გავუკარი, ეშმაკიც ვეღარ გახსნიდა.

— ახლა ფეხები შეუკარი, მაგრამ ისე, რომ ნახევარნახევარი ნაბიჯის გადადგმა შეეძლოს.

ბრძანება კარგად ვერ გავიგე.

— გასახედნ ცხენს რომ ფეხებს გაუკრავენ, აი ისე!

— გასაგებია! — ვუპასუხე და ეს ბრძანებაც შევასრულე.

— კარგია! — გული დაიარხეინა პაპამ და ახლაღა გადმოვიდა საფარიდან.

— ისე, როგორი ბიჭები ვყოფილვართ? — ჰკითხა ქართულად.

ხელ-ფეხ შეკრულმა ცივი, გამყინავი თვალებით შეხედა პაპას და მე მივხვდი, რომ მან ნათქვამიდან ვერაფერიც ვერ გაიგო.

•

ტოტებში გახლართულმა, რა თქმა უნდა, გაიგოთა ჩვენი ხმაური. (რას არ გაიგონებდა, პაპაჩემის ხმა იქ კი არა, სვიანამდე მიაღწევდა!). სულ ჩვენსკენ იცქირებოდა. დაინახა თავისი გათოკილი ამხანაგიც. იცოდა, რომ ახლა უკვე მისი ჯერი იყო და ხაფანგში ფეხჩაკრულ მელიასავით იყურებოდა. ჩვენ, ხეს მოფარებულნი ფრთხილად ვიყავით. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო სროლა აეტეხა. ამიტომ, ხელ-ფეხშეკრული ტყვე ხეზე მივაკარით. მერე ხიდან ხემდე, ხიდან ხემდე ვირბინეთ და სულ ახლოს მივედით. უზარმაზარ წიფელს ამოვეფარეთ. პაპამ შაშხანა დაუმიზნა და, ვიდრე რამეს დაუძახებდა, ჩამოკონწიალებულმა ხელები ასწია. გვანიშნა, ნუ მომკლავთ, გნებდებითო.

— გადმოყარე იარაღი! — რუსულად დაუძახა პაპამ.

მეტი რა გზა ჰქონდა, გადმოყარა და მერე ისევ ასწია ხელები.

— მე ჩავალ, იარაღს ავკრეფავ. შენ უყურე. თუ რამე გაბედოს, თოფი ხელში გიჭირავს და შენ იცი!

ვერ გეტყვით, რამე რომ გაებედა, რას ვიზამდი — ვუშველიდი პაპას თუ ვერა. მაგრამ კიდევ კარგი, არაფერი მომხდარა. პაპამ მაღლიდან გადმოყრილი ნივთები აკრიფა და უვნებლად ამოვიდა.

— ახლა რა ვუყოთ? — ვკითხე პაპას.

— ძირს უნდა ჩამოვათრიოთ.

— როგორ?

ძალიან მაინტერესებდა, რას იტყოდა პაპა. აქამდე იმაზე ვფიქრობდი, ის ჩამოკონწიალებული კაცი ძირს როგორ უნდა ჩამოვიყვანოთ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიფიქრე.

— როგორ და, შენ უნდა ახვიდე იმ ხეზე. ნაჯახი აიტანე და ის ტოტები მოჭერი, პარაშუტი რომ არის მოდებული. ნუ გეშინია, მაგას მე ხელს არ გავაქანებინებ!

ქალამანი გავიხადე, ნაჯახი ქამარში გავირჭვე და ხეზე ასვლა დავიწყე.

ხაფანგში გაბმული კაცი ხან მე მიყურებდა, ხან პაპას. ვინ იცის, შეიძლება შებრძოლებაზეც ფიქრობდა, მაგრამ ხედავდა, რომ პაპა ფხიზლად იყო და მის ტყვიას ვერ გადაურჩებოდა.

მალე ხეს კენწეროში მოვექეცი.

იმ ტოტთან რომ მივედი, რომელიც უნდა მომეჭრა, ჩამოვძახე:

— ეს კაცი ამ სიმაღლიდან რომ ჩამოვარდეს, მოკვდება.

— უჰ, რაღა ვქნა! შავების ჩაცმა დამჭირდება! თუ სიკვდილი არ უნდოდა, ნეტა აქ სად მოეხეტებოდა! მოსჭერ ერთი ამათი სინსილაც გაწყდეს!

მოჭრა რომ დავიწყე, გერმანელმა პარაშუტის თოკებს წაავლო ხელი, თან ძირს იყურებოდა. ვატყობდი,



დამტვრევისა ეშინოდა.

დაზნექილ ტოტს ნაჯახი დავარტყი თუ არა, მაშინვე ჭახაჭუხი დაიწყო. კაცი შეირხა, პარაშუტი მოწყდა და ახლა მეორე თოკი გამოედო ქვემოთა ტოტს.

ჩამოვცოცდი, ის ტოტიც მოვჭერი, სხვა ტოტიც გამიხდა მოსაჭრელი. მერე კი მოცურდა თოკები და პარაშუტმა იოლად ჩაიარა დანარჩენი წვრილი ტოტები. კაცი მიწას დაასკდა და ვეღარც ადგა. პარაშუტი თეთრად დაეფინა ახალდაცვენილ ფოთოლს.

პარაშუტისტმა მიწაზე გორაობა და მანჭვა-გრეხა დაიწყო.

შემეცოდა და პაპას დავუძახე, მიეშველე-მეთქი.

— ნუ გეშინია, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! ფრთხილად ჩამოდი. — მშვიდად ამომძახა პაპამ.

ხეზე ასვლაა ძნელი, თორემ ჩამოსვლას რა უნდა, ერთ წუთში ჩამოვსრიალდი.

— ადექი! — დაუძახა პაპამ გერმანელს.

მიწაზე გაშხლართული არ განძრეულა.

— ადექი, თორემ გესვრი!

თოკებში გახლართულმა თავი ასწია და ნელა მოიხედა ჩვენსკენ. ცხვირ-პირი დასისხლიანებოდა. თავი ისევ მიწაზე დადო და თვალები მომაკვდავივით მილულა.

— უყურეთ ამ ვირეშმაკას, ჩემი ახლოს მიტყუება უნდა! შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე. ადექი ზეზე, მე შენ გეუბნები! — დაუყვირა პაპაჩემმა.

პარაშუტისტმა თვალები გაახილა. თავი ნელა ასწია, მაგრამ წამოდგომა ვერ შესძლო და ისევ მიწაზე დაეშვა. შემეცოდა. პაპას ვუთხარი, არ შეუძლია, მივალ და ავაყენებ-მეთქი.

— ადექი, თორემ გესვრი! — ისეთი მრისხანე ხმით უყვირა პაპამ, რომ მეც კი ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მერე ჩახმახი ფეხზე შეაყენა, დაუმიზნა და იჭექა პაპას შაშხანამ.

ტყვია გერმანელის ცხვირის წინ, მიწას მოხვდა და სახეში ნაძოძები შეაყარა. იცოცხლე, მაშინ კი იკადრა „მომაკვდავმა" წამოდგომა და ხელები ასწია.

მე ჩავირბინე და გავჩხრიკე. მას უბეში კიდევ აღმოაჩნდა პისტოლეტი და ორი პატარა ხელყუმბარა.

— უყურე შენ! — აღშფოთდა პაპა. — იმიტომ არის ნათქვამი, გველს ვიდრე თავს არ გაუჭეჭყავ, არ უნდა ენდოო.

ბრძანებას აღარ დავლოდებივარ, პარაშუტს თოკი შევაჭერი და ამასაც გავუკარი ხელ-ფეხი.

იარაღი მე და პაპა თინიბექმა ავიღეთ, დანარჩენი ბარგი ისევ ფაშისტებს ავკიდეთ და სახედრებივით გავირეკეთ წინ.

9

მზე ჩასვლაზე იყო, სვიანაში რომ ჩამოვედით. დაგვიგვიანდებოდა, აბა რა იქნებოდა, — დაბორკილი ცხენებივით ნახევარ-ნახევარ ნაბიჯებს ადგამდნენ.

ეზოში რომ შევედით, ქორიამ დაგვინახა და ჩვენსკენ გამოიქცა. მეგონა უცხოების დანახვაზე გადაირეოდა, იქაურობას აიკლებდა. პაპაც მოემზადა მის მოსაგერიებლად. მაგრამ რის გადარევა, რა მოგერიება!.. ძაღლი კუდისქიცინით მოგველაქუცა და გაგვეთამაშა ჩვენცა და გერმანელებსაც.

— აი, შენ კი გაგეთამაშა სიკვდილი, შე მართლა ჭკუათხელო! დილას შინაურები კინაღამ შეგვჭამე, ახლა ფაშისტებსაც კუდს უქიცინებ! — გაუწყრა პაპა და მერე ბებოს დაუძახა:



— ქალიკმავ, აბა გამოიხედე, ქალო, რა კაი ვირები მოვრეკეთ მე და გოგიამ!

ბებო შინიდან წინსაფარზე ხელების წმენდით გამოვიდა. ხელფეხშეკრული ტყვეები რომ დაინახა, გაშტერდა.

— რას უყურებ, ვერ იცნობ? — ჰკითხა პაპამ, თან იქვე საშეშე მორზე ჩამოჯდა და წეკოს გახვევა დაიწყო.

— კაცო, ვინ არიან?! — იკითხა გაკვირვებულმა ბებომ.

— აი, ესენი არიან ფაშისტები! — თქვა პაპამ და ტალკვესი გაჰკრა.

ბებო ქალიკმას უცებ ისე გაუხდა სახე, თითქოს ბილიკზე მოულოდნელად გველს შეეყარაო.

პაპამ გააბოლა, მერე რაღაც გაახსენდა, წამოხტა, ბებოსთან მივიდა! ნამდვილი ჯარისკაცივით გამოეჭიმა, მხედრული სალამი აუღო და მოახსენა:

— ამხანაგო შტაბის უფროსო! ეს ორი ფაშისტი საჩქვეფის მთაზე გადმოსხა მოწინააღმდეგის თვითმფრინავმა. ისინი პირველად ჯარისკაცმა გიორგი ლევანის ძე გედეხაურმა შენიშნა. მერე მეც დამანახვა. შემდეგ ჩვენ ისე ვიმოქმედეთ, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი იმოქმედებდა და, აი, ახლა თქვენს წინაშე დგანან ეს წუწკები!

პაპის ხუმრობა ძალიან მომეწონა, ბებოს კი ღიმილი ახლოსაც არ გაჰკარებია.

— კაცო, ნეტა რა გეხუმრება, ბალღი ხომ არა ხარ! — გაუწყრა პაპას.

— ამხანაგო შტაბის უფროსო, გამარჯვებულები ყოველთვის მხიარულ ხასიათზე არიან.

გერმანელები გაკვირვებულნი უყურებდნენ ხან პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაჩემს, რომელიც მართლა ჰგავდა ჯარისკაცს, ხან ბებოს, რომელიც იმ წუთში და იმ გარემოში კუდიან დედაბერს უფრო ჰგავდა მათს თვალში, ვიდრე კეთილ, სათნო ქალს.

ტყვეები შინ შევიყვანეთ და ტახტზე დავსვით.

პაპა მოპირდაპირე ტახტზე დაჯდა და მუხლებშუა მოიქცია თავისი რუსული შაშხანა. იგი ისე იჯდა, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი, რომელსაც ევალებოდა ტყვეებისათვის ერთი წუთითაც არ მოეცილებინა თვალი.

ვახშამი რომ მოამზადა, ბებომ პაპას ჰკითხა:

— კაცო, ამ ჯილაგგაწყვეტილებსაც მივუტანო საჭმელი?

— ისე მაგათ აუშენდათ ოჯახი, მაგათ მე ჩემი ნაოფლარი შევაჭამო! აქ რა, ჩემს იმედად მოდიოდნენ?!

მერე პაპამ გერმანელებს რუსულად რაღაც ჰკითხა. ერთმა მათგანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მაშინ პაპა მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ტომარაში საჭმელი ჰქონიათ. წადი, მოუტანე, შეხეთქონ!

მოვუტანე.

პაპამ ჯერ ერთს გაუხსნა ხელი და უთხრა ეჭამა. მაგრამ რას შეჭამდა, ჯავრისაგან ისე იყო კრიჭაშეკრული, დანა კბილს ვერ გაუხსნიდა. მხოლოდ ორიოდე ლუკმა ააციცქნა. ისიც ალბათ იმიტომ, რომ იფიქრა, ვინ იცის კიდევ როდისღა მომიწევს ჭამაო.

— არ გინდა და ნუ გინდა! — უთხრა პაპამ. იმ ტყვეს შევუკარი ხელები და ახლა მეორეს გავუხსენი. ის მეორე ცოტა საეჭვოდ ატრიალებდა მელიასავით ცბიერ თვალებს. პაპამ უმალვე შენიშნა ეს და შაშხანა მოიმარჯვა, თან გააფრთხილა, — არაფერი გაბედო, თორემ ტვინს ემაგ დამჭვარტლულ კედელზე მიგანთხევინებო. პაპა როცა ამას ეუბნებოდა, ისეთი გოროზი შესახედავი იყო, ფაშისტს კი არა, მგონი მეც შემეშინდა. ვერაფერი ვერ გაბედა. ვახშამს მორჩა, ისევ მორჩილად დაიწყო ზურგსუკან ხელები და მე კვლავ საიმედოდ შევუკარი აბრეშუმის პრიალა თოკით.

ამის შემდეგ ჩვენც ვივახშმეთ.

ნავახშმევს პაპამ ტყვეებს ტახტზე აჩვენა და უბრძანა, დაწექითო.

დაწვნენ.

მე და ბებო, პაპა რომ იჯდა, იმ ტახტზე დავწექით.

პაპას კი არც ლამპა ჩაუქრია და არც თვალი მოუხუჭავს, ნამდვილი ჯარისკაცივით იჯდა და მთელი ღამე ტყვეებს ჰყარაულობდა.

10.

დილით პაპამ ადრიანად გაგვაღვიძა.

ზეზეურად წავიხემსეთ.

პაპამ გადამალული ბარგი და იარაღი შემოიტანა,
გერმანელებს აჰკიდა, თვითონ თავისი „ბებერი" შაშხა-
ნა აიღო და ტყვეებს ომახიანი ხმით უბრძანა:
— ნაბიჯით იარ!
ტყეში დაკლაკნილ საცალფეხო ბილიკს დავადექით,
რომელიც სვიანას ხალხ-ქვეყანასთან აკავშირებდა.
რა თქმა უნდა, ძალიან ნელა მივდიოდით. გერმანე-
ლების ნახევარ-ნახევარმა ნაბიჯებმა გული გააწყალა,
მაგრამ ასე იყო საჭირო. აბა, იმ ულრან-უსიერ ტყეში
ფეხები რომ გახსნილი ჰქონოდათ, შეიძლება მოულოდ-
ნელად გაქცეულიყვნენ აქეთ-იქით, თოფის სროლაც კი
ვერ მოგვესწრო. ამიტომ ნელ-ნელა ვიარეთ და მშვიდო-
ბით გავლიეთ დაბურული ტყე.
საყანე მინდვრებზე რომ გავედით, დუშაყები ცოტა
დავუგრძელეთ და შედარებით ჩქარა წავედით, პატარა



სახოხზე გორა გადავიარეთ და სოფელი მუხათიც გამოჩნდა, სადაც ჩვენი საბჭო და ფოსტა იყო.

შევჩერდით.

პაპამ მითხრა:

— შვილო გოგი, მე აქედან დავბრუნდები, შინ აუცილებელი საქმე მაქვს. ამათ შენ ჩაიყვან სოფელში და საბჭოს თავმჯდომარეს, ძია ალექსის ჩააბარებ. გასაგებია?

არ ვიცი პაპას რა საქმე ჰქონდა, რომ უკან ბრუნდებოდა, მაგრამ მწამდა, როგორც იტყოდა ისე იყო საჭირო და ისე უნდა გაკეთებულიყო.

— გასაგებია! — ვუპასუხე.

— აჰა, ჩემი შაშხანა. ეს უფრო საიმედოა. ფრთხილად იყავი, არაფერში მოგატყუონ, ვიდრე საბჭოში არ მიხვალთ, არსად არ შეაჩერო. თვალი არ მოაცილო და ისე გარეკე წინ, როგორც თხები. სოფელში რომ შეხვალთ, ხალხი შემოგეხვევათ, მაგრამ ახლოს არავინ მიუშვა. თუ დაგაგვიანდეს, ნუ მობრუნდები. საღამოზე ალექსი ბიძასთან დარჩი. დილით კი ნუღარ დაიგვიანებ, თორემ ბებოშენს დარდით გული გაუსკდება.

აბა, ვაჟკაცურად! გახსოვდეს, ხელში რუსული შაშხანა გიჭირავს და წინ ჩვენი სამშობლოს მტრები მიგიძღვიან!

თუ რამე გაბედეს, არ დაზოგო. ახლა კი იარეთ.

— ნაბიჯით იარ! — ომახიანად უბრძანა ტყვეებს ჩემს მაგიერ და საურმე გზას დავადექით.

გზა სოფლისაკენ დაღმა ეშვებოდა.

მე ხელში მეჭირა შაშხანა და ხუთიოდე ნაბიჯზე მივყვებოდი. უკან არ მომიბრუნებია თავი, მაგრამ ვიცოდი, პაპაჩემი იმავე ადგილზე იდგა და გვიყურებდა. ასე იქნებოდა ერთ ადგილას გაჩერებული, ვიდრე თვალს არ მოვეფარებოდით.

საურმე გზა ბუჩქნარზე მიდიოდა. ჩვენ იმ გზაზე უმძრახად მივდიოდით. ან რა უნდა გვეთქვა! ჯერ ერთი — რა გვქონდა სალაპარაკო, მეორეც — გერმანულისა მე ინჩი-ბინჩიც არ ვიცოდი, ქართული იმათ არ იცოდნენ. რუსული რამდენიმე სიტყვა კი ვიცოდი მაგრამ იმით რა ფონს უნდა გავსულიყავი. გერმანელებმა იცოდნენ რუსული. პაპამ თქვა, აქ გამოსაგზავნად რომ ამზადებდნენ, მაშინ ასწავლიდნენო.

მივდიოდით გზაზე და რატომღაც ვფიქრობდი, რომ ისინი გაქცევას აპირებდნენ. დაბორკილები, აბა, სად გამექცეოდნენ, მაგრამ, ეტყობა, მაინც მეშინოდა.

გზისპირას ტყემლებს ჯერ ისევ ესხა ფოთოლი. ხუთყურებს და კუნელებს კი მთლად შემოსძარცვოდათ

სამოსი, ასკილსაც. ნაყოფით აჩირჩხლული მათი ტოტები გამომწვევად იყურებოდნენ. ჩვენი დანახვით შეშფოთებული ყვითელნისკარტა შაშვები ჭახჭახებდნენ.

კარგა მანძილი გავიარეთ უხმოდ. მერე ერთმა გერმანელმა რუსულად რაღაც მითხრა. ვერ გავიგე. მერე ხელით მანიშნა, გვერდზე გადასვლა მინდაო.

მე სულაც არ მოველოდი, რომ გზაში ასეთ რამეს მომთხოვდნენ. ასეთ თხოვნაზე უარის თქმა არ შეიძლება, მაგრამ თანხმობა რომ მივცე, მაშინ ხელებიც უნდა გავუხსნა. ხელებს გავუხსნი და, ვინ იცის, რას ჩაიდენს. „აჰა, ამას ხელების გახსნა უნდა“, — ვთქვი გულში და გამიხარდა, რომ განზრახვას მივუხვდი.

მან კვლავ მუნჯურად მკითხა, შეიძლება თუ არაო.

მე თავი გავიქნიე: არა-მეთქი.

გაჯავრდა და გერმანულად რაღაც თქვა.

— აბა, აბა, გინებას დაანებე თავი, თორემ მე გასწავლი ჭკუას! — ქართულად ვუთხარი. არ ვიცი, მან შეიგინა თუ არა, მაგრამ მე ასე მომეჩვენა. შეიძლება მასაც ასე მოეჩვენა ჩემი ნათქვამი.

ცოტახანს კიდევ ვიარეთ. მერე ისევ შეჩერდა ის გერმანელი და კვლავ რაღაც მკითხა. მე ისევ თავი გავიქნიე, არა-მეთქი. მერე დაიწმარწნა, — მანიშნა, სიარული აღარ შემიძლიაო და შეჩერდა.

„მგონი უკვე დაიწყეს, რასაც აპირებდნენ“. — გავიფიქრე და შეშფოთებისაგან სახეზე წამომახურა.

— იარეთ, თორემ ამ წუთში გესვრით! — ისე დავიღრიალე, მთელ არე-მარეს მისწვდა ჩემი ხმა. თან ჩახმახი ფეხზე შევაყენე და დავუმიზნე.

იმ „გაჭირვებულს“ ამხანაგმა ანიშნა, იარეო. ალბათ იფიქრეს, ბავშვია, შეიძლება მართლა გვესროლოსო. რაკი ვერ მომატყუეს, მეტი რა ჩარა ჰქონდათ, — გზა განაგრძეს.

•

სოფელში მართლაც უამრავი ხალხი შემოგვესია. მოხუცები, ქალები და ბავშვები უკან მოგვდევდნენ. ისინი ჩემზე უთითებდნენ ერთმანეთს, — ნახეთ, სულ ბავშვია და ჯარში კი გაუწვევიათო. ქართველსა ჰგავს, ნეტა სადაურიაო.

მე ძალიან მიხაროდა, რომ ყველას ნამდვილი ჯარისკაცი ვეგონე, მაგრამ იმ წუთში ძალიან მინდოდა ვინმეს რამე ეკითხა, რომ მეთქვა, სვიანელი ბიჭი ვარ, ეს ტყვეები კი ფაშისტები არიან-მეთქი. მაგრამ რატომღაც ვერ მიბედავდნენ შეკითხვას. ბოლოს საბაბიც გამოჩნდა,— სკოლიდან გამოსული ბავშვები შემოგვხვდნენ წინ. ისინი ისე უყურებდნენ ტყვეებს, როგორც ტყიურებს. გზიდან გაცლას არც კი აპირებდნენ. არა, მე მომეჩვენა ასე, თორემ გზას როგორ არ მისცემდნენ! მაგრამ მე მაინც ომახიანად ვუბრძანე:

— გზა, ბიჭებო! გზა მიეცით!

— ბიჭოს, მართლა ქართველი ყოფილა! — რამდენიმემ ერთდროულად ჩაილაპარაკა. მერე სხაპასხუპით დამაყარეს კითხვები:

— ვინ არიან?

— რაზე დაგიჭერია?

— სად მიგყავს?

— ვინ არიან და, ფაშისტები! — მგონი უფრო ხმამაღლა ვთქვი, ვიდრე საჭირო იყო.

— ფაშისტები?! — გაუკვირდათ.

— დიახ, ფაშისტები არიან და მე დავიჭირე!

— შენ?!

— დიახ, მე და პაპაჩემმა!



— ესენი არიან ფაშისტები?! ესენი არიან ქვეყანაზე სისხლის ზღვა რომ დააყენეს?! ოხ, ამათი სინსილა და ჯიშ-ჯილაგი კი გაწყდეს! მიშიშვით ერთი, კბილებით დავგლიჯო! — აღშფოთდა ჩია ბერიკაცი, კოჭლობით რომ მიგვყვებოდა.

— აბა, ახლოს არავინ არ მიეკაროთ!—მკაცრად ვთქვი მე. ვთქვი კი არა, ვბრძანე და ამ ბრძანებას ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა.

ვინც კი დაგვინახა, ყველა ჩვენ აგვედევნა. მე ხალხს დროდადრო ვაფრთხილებდი უკან იარეთ, ახლოს არ მიეკაროთ, თორემ გაქცევა რომ სცადონ, სროლაში მოჰყვებით-მეთქი.

სადაც გასაქცევი იყო, იქ ვერაფერი მოახერხეს, აქ, აბა, სად უნდა გაქცეულიყვნენ, მაგრამ, ეტყობა, ნამდვილი ჯარისკაცივით მინდოდა მოვქცეულიყავი.

საბჭოს ეზოში რომ შევედით, მთელი ხალხი გარეთ გამოცვივდა — ნოქრები, ფოსტის მუშაკები, საბჭოში საქმეზე მისულები... თვალებზე ხელმოჩრდილულნი გვიყურებდნენ და ვერ გარკვეულიყვნენ, რა ამბავი იყო. ეტყობა, სამხედრო ტანსაცმელი რომ მეცვა, იმიტომაც ვერ მიცნო საბჭოს თავმჯდომარემ, ძია ალექსიმ. ან შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ იგი მე კი არა, ხელფეხშეკრულებს მიშტერებოდა.

— ალექსი ძია, აი მოვიყვანე ფაშისტები და ახლა შენ იცი!

— ბიჭო, გოგია ხარ შენა?! — თვალები გაუცისკროვნდა.

— დიახ, მე ვარ!

— ბიჭო, ესენი მართლა ფაშისტები არიან?!

— მაშ! მე და პაპა თინიბექმა დავიჭირეთ სვიანას ტყეში.

— ჰოო... — ძია ალექსი ცოტა დაიბნა, აღარ იცოდა პირველად რა გაეკეთებინა. მერე ხალხს გამოუცხადა:

— აბა, დაიმალენით! რას უყურებთ, ფაშისტები არ გინახავთ?

— ალექსი, ისე გვეუბნები, შე კაი კაცო, თითქოს შენ კი ძალიან ბევრჯერ გენახოს! — შეესიტყვა ვიღაცა.

ხალხს გაეცინა.

— ჰო, მართალი ხარ, მაგრამ ახლა გვაცალეთ, — ხელად საქმიანი გამომეტყველება მიიღო ალექსი ძიამ. მერე კიბეზე აგვიძღვა, თავისი კაბინეტის კარი გააღო და მითხრა, შემორეკეო.

შევიყვანე და სკამზე ვანიშნე, დასხედით-მეთქი. დასხდნენ.

— ალექსი ბიძია, მოხადე ბარგი — ვუთხარი.

საბჭოს თავმჯდომარე ისე ფრთხილად ხსნიდა ზურგჩანთებს, თითქოს გაავებულ ძაღლს საყელურს უხსნისო.

ბარგი და იარაღით სავსე გუდა კუთხეში მივდგით. ალექსი ძიამ რაიკომის მდივანს დაურეკა. ეტყობა, მდივანმა არ დაიჯერა.



— არა, ტყუილი როგორ არის, პატივცემულო ამირან! აგერ, ჩემს ოთახში სხედან და ის ბიჭიც თავზე ადგა იარაღით.

მერე ყურმილი დადო და თქვა:

— ახლავე მოვლენ.

ალექსი ძიას ვუამბობდი, მე და პაპამ სად და როგორ დავიჭირეთ ფაშისტები. ეტყობა, ძალიან დაწვრილებით ვყვებოდი, ჯერ იქამდეც არ ვიყავი მისული, პარაშუტისტები რომ გადმოსხდნენ და, უკვე ორი მანქანა გაჩერდა საბჭოს წინ.

ალექსი ძიამ ფანჯრიდან გაიხედა და თქვა:

— ერთი მანქანით მდივანი მოვიდა, მეორით — სამხედროები.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

რაიკომის მდივანი აქამდე თვალითაც არ მენახა, ახლა კი ვიცოდი, მასთან უნდა მესაუბრნა. თან კიდევ სამხედროებიც მოვიდნენ, ნამდვილი ჯარისკაცები. შარვალ-ხალათზე და ჩექმებზე დავიხედე. რატომღაც გავიფიქრე, რომ ასეთი ფორმის ჩაცმის უფლება მხოლოდ ნამდვილ ჯარისკაცებს ჰქონდათ. „მე ჯარისკაცი არა ვარ, მაგრამ ახლა ალბათ ამის გულისთვის საყვედურს არ მეტყვიან“, — ვფიქრობდი.

ალექსი ძია მოსულებს აივანზე შეეგება. გავიგონე როგორ მიესალმნენ ისინი ერთმანეთს. მერე კარი გაიღო და ტყავისპალტოიანი, შუახნის ლამაზი კაცი შემოვიდა, მას სამხედროებიც შემოჰყვნენ.

მე შაშხანა ისევ მეჭირა ხელში. შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე წამოვხტი და ტყვეებსაც ვანიშნე, ამდგარიყვნენ. მათ იმწუთშივე უსიტყვოდ შეასრულეს ჩემი ბრძანება და მე მივხვდი, რომ ეს ძალიან ლამაზად გამოვიდა.

— ეს ვაჟკაცია გოგი გედეხაური? — იკითხა რაიკომის მდივანმა და გამიღიმა.

— დიახ, პატივცემულო ამირან. — უპასუხა საბჭოს თავმჯდომარემ.

— გამარჯობა, ვაჟკაცო! — ხელი გამომიწოდა.

მე იმწამსვე მარცხენა ხელში გადავინაცვლე შაშხანა და მარჯვენა ჩამოვართვი.

— გამარჯობათ!

ოფიცრები ჯერ მხედრულად მომესალმნენ, მერე სათითაოდ მაგრად ჩამომართვეს ხელი.

მაღალი, ქერა ოფიცერი საბჭოს თავმჯდომარეს მაგიდას მიუჯდა, საწერ-ქაღალდი მოიმარჯვა და მითხრა, დაწვრილებით მეამბნა სად, როდის, როგორ დავიჭირეთ ფაშისტები. ნელა მოყევიო, გამაფრთხილეს, ვყვებოდი და ის ოფიცერი ყველაფერს იწერდა.

ბოლოს მკითხა: რამდენი წლისა ხარ, მამას რა ჰქვია, სად იბრძვისო; პაპას რა ჰქვია, შენ სადა სწავლობო და, რა ვიცი, რაღა არ მკითხეს...

ბოლოს ბარგი გავხსენით. რაც კი შიგ აღმოჩნდა, ყველაფერი ქაღალდზე ჩამოწერეს.

მე იარაღით სავსე გუდას პირი მოვხსენი და ყველაფერი სათითაოდ ამოვაწყე. ოფიცერმა ისინიც ქაღალდზე ჩამოწერა. ბოლოში ჯერ თვითონ მოაწერა ხელი, მერე მე მომაწერინა. ერთი პირი მე მომცა, დანარჩენი თვითონ ჩაიდო საქაღალდეში, მერე მანქანასთან დარჩენილ ჯარისკაცებს დაუძახა, მოდითო.

მოვიდნენ.

ჯარისკაცებმა გამიღიმეს და მხედრულად მომესალმნენ.

— წაიყვანეთ! — ტყვეებზე მიუთითა ოფიცერმა.

გაიყვანეს.

რაიკომის მდივანი, ოფიცრები, ალექსი ძია და მე ერთად გამოვედით. საბჭოს ეზო ხალხით იყო სავსე. მთელი მუხათი ქალიან-კაციანად იქ მოსულიყო. გერმანელების დანახვაც აინტერესებდათ და ჩემიც.

მდივანმა, იმოდენა ხალხის დასანახავად, მეგობრულად გადამხვია ხელი და მკითხა:

— გოგი, შენ ახლა სად აპირებ წასვლას?

— ჯერ ფოსტაში მამას წერილს მოვიკითხავ, მერე სვიანაში წავალ, თორემ ბებოს დარდი მოჰკლავს.

— ფოსტის გამგე სად არის? — იკითხა მდივანმა.

— აქა ვარ. — წინ წამოდგა.

— არის ამათ სახელზე წერილი?

— არა, ბატონო, აღარ მოსულა. — დამნაშავესავით თქვა ფოსტის გამგემ.

— არა?.. არ იდარდო, გოგი, მოვა. ხომ იცი, ომია, ათასი დაბრკოლებაა. ან იქნება ჯერ ვერც მოახერხა გამოგზავნა! — მანუგეშა მდივანმა.

მე გული დამწყდა.

ჩემი გულდაწყვეტა კიდევ არაფერი, მაგრამ აი, ბებო ქალიკმასთვის როგორ შემეხედა თვალებში, რომ მკითხავდა, მამის წერილი მოიტანე თუ არაო.

— მამაშენს წერილის დასაწერად სად ეცლება, ჩვენები ახლა გაქცეულ გერმანელებს უბაგუნებენ ზურგში! — გაიღიმა ოფიცერმა და ბეჭებზე ხელი მომითათუნა, ნუ დაღონდიო.

— გოგი ახლა მარტო გავუშვათ? — ჰკითხა მდივანმა იმ ოფიცერს.

— არა, მარტო რატომ უნდა გავუშვათ, აგერ ჩვენი „ვილისი", ორი ჯარისკაციც გაჰყვება.

მერე ჯარისკაცებს მიუბრუნდა და დავალება მისცა.

რაიკომის მდივანმა და ოფიცერმა მაგრად ჩამომართვეს ხელი, დამემშვიდობნენ. ჯარისკაცებმა მანქანის კარი გამიღეს.

ჩავჯექი.

ავტომატიანი გამყოლები აქეთ-იქით მომისხდნენ და მანქანა ადგილიდან მოსწყდა.

ბევრი ვიწვალეთ ოღრო-ჩოღრო გზებზე, მაგრამ მაინც ავედით სვიანაში.

მანქანა ეზოში რომ შევაგრიალეთ, საწყალი ქორია წამოხტა და დაფეთებული ტყისკენ გაიქცა. დაფეთდებოდა, მაშ რა იქნებოდა, თავისდღეში არ ენახა მანქანა. სად ნახავდა! ეს პირველი შემთხვევა იყო, სვიანაში მანქანა რომ ავიდა.

ბებომ და პაპამ შეშფოთებულებმა გამოიხედეს.

„ვილისი" გაჩერდა თუ არა, ავტომატიანი ჯარისკაცები გადმოხტნენ და კარი გამიღეს.

გადმოვედი.

ჯარისკაცები აქეთ-იქით ამომიდგნენ, მწყობრი ნაბიჯით მიმაცილეს კარამდე. იქ ისინი ბებოსა და პაპას მხედრული სალამით გამოეჭიმნენ და მოახსენეს, გიორგი ლევანის ძე გედეხაური მშვიდობით მოვიყვანეთო.

პაპას რომ შევხედე, ჭაღარა ულვაშებში ეღიმებოდა.





ნანა კიკნაძე

კერამიკა კაცობრიობის იმ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც ხელი შეუწყო ადამიანის შრომა-საქმიანობას და მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. სიტყვა „კერამიკა" ბერძნული წარმოშობისაა და თიხისაგან, ფაიანსისაგან, ფაიფურისა თუ შამოტისაგან დამზადებული საგნების საერთო სახელად იხმარება. მაგრამ თიხისაგან საგნების დამზადების ხერხი კი ბერძნებს არ ეკუთვნით, გაცილებით უფრო ადრეულია.

თიხის წარმოება უხსოვარ დროს ჩაისახა — ახალი ქვის ხანაში, ნეოლითში, მაშინ, როდესაც ადამიანები ნახევრად ველურ ცხოვრებას ეწეოდნენ, ბინად გამოქვაბული ჰქონდათ, საკვებად კი — მცენარეულობის ნაყოფი ან ნანადირევი. მათ არ იცოდნენ შეჭამანდის მოხარშვა, რადგან ცეცხლგამძლე ჭურჭელი არ გააჩნდათ. უფრო წნულის, ან ქვაზე ამოკვეთილ ჭურჭელს ხმარობდნენ. მაგრამ, აი, გავიდა დრო და დააკვირდა ადამიანი სველი თიხის დამახასიათებელ თვისებებს: პლასტიკურობას, ფორმის შენარჩუნების უნარს, ცეცხლგამძლეობას. ცეცხლი, გარდა სიმაგრისა, მას მოწითალო ფერს აძლევდა, რამაც ერთიორად ხელი შეუწყო მისი გამოყენების ნაირსახეობას. ადამიანმა თიხისაგან პირველად საჭმლის მოსახარში ჭურჭელი დაამზადა. ეს ველური ადამიანისათვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო.

არავინ იცის, სად, როდის ან ვინ შენიშნა პირველად თიხის ეს ძვირფასი თვისებები. საფიქრებელია, რომ ისევე, როგორც ბევრი უდიდესი აღმოჩენა, თიხის გამოყენებაც აღმოსავლეთის ქვეყნების ცივილიზაციის მონაპოვარია. მაგ. ძველ მესოპოტამიაში ბუნებაც კი ხელს უწყობდა თიხის წარმოების აღმოცენებას. აქ თითქმის არ მოიპოვება სამშენებლო ქვა, ცოტაა ტყე, სამაგიეროდ უაჩრავია თიხის მარაგი. ასევე, უძველეს დროში თიხა ინდოეთის მიწაზეც უნდა გამოეყენებინათ — ქალაქი მოხენჯოდარო მთლიანად გამომწვარი აგურით არის ნაგები. ეგვიპტე კერამიკის ერთ-ერთი უძველესი კერათაგანია. თიხამ, ხელმისაწვდომობით, სიიაფით და ადვილი დამუშავებით, დიდი აღიარება მოიპოვა. მისგან მარტო ჯამ-ჭურჭელსა და სამეურნეო საგნებს კი არ ამზადებდნენ, სამშენებლო მასალადაც იყენებდნენ, ქანდაკებებს და ბევრ სხვა ნივთსაც ამზადებდნენ. ადამიანმა თავისი პირველი მხატვრული აზრი თიხაზე გადმოიტანა. იგი ნახატით, ორნამენტით შეამკო, რითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება იმდროინდელ კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაზე. თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი თუ სხვა რამ ნივთი მიგვითითებს მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებიც მაშინ არსებობდა (მევენახეობა, მესაქონლეობა, რძის წარმოება, მეხორბლეობა და სხვა). თიხის საგნებზე გამოსახული ღმერთები მათ მორწმუნეობას მოწმობს; მათ ჩაცმულობას, ვარცხნილობას, იარაღს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ბინას, საქმიანობას, ცეკვას გვაცნობს. ერთი სიტყვით, ამ პატარა თიხის ნატეხს საუკუნეების მკვლევარის დიდი ძალა ენიჭება. ამიტომ, არქეოლოგები განათხარი მონაპოვრის დათარიღება-გამოკვლევისათვის მას აძლევენ უპირატესობას.

# კერამიკა

კერამიკის წარმოების უძველესი სურათი ქვის ხანის ადამიანის კარ-მიდამოზე უნდა წარმოვიდგინოთ. მოწნული სახლის წინ ფეხმორთხმული ქალი (პირველი ოსტატები, სწორედ ქალები იყვნენ) გულდასმით ზელავს თიხას, მერე ერთ რიგ ზოლს მეორეს მოადგამს, მეორეს — მესამეს... ნაკეთობის კედელს გადალესავს, რომ გამთლიანდეს და ქოთანი გამოიყვანოს. ამ ჭურჭელს კედელი სქელი და უსწორმასწორო ჰქონდა, ფორმით მრგვალი იყო და დაბალი. საჭიროებისამებრ ზოგ ჭურჭელს ყურს გამოაბამდნენ, ზოგს — ნისკარტს. გარკვეული დროის შემდეგ თიხის ნაკეთობა ორნამენტით ან გამოსახულებით შეამკეს. ოდნავ შემშრალ ჭურჭელს ზემოდან რაიმე ნახატს დააჭდობდნენ, ან ამოკაწრავდნენ ხოლმე. ჰაერზე რომ კარგად გაშრებოდა, მერე შეშას ან ნაკელს შემოუწყობდნენ და ნელ-ნელა მიუმარჯვებდნენ ცეცხლს გამოსაწვავად. მიდიოდა დრო და უმჯობესდებოდა კერამიკის წარმოებაც. გაჩნდა დამხმარე იარაღი — ხელის ჩარხი. ჩარხზე მუშაობა უფრო ადვილი და მარჯვე იყო. დაიხვეწა ნაკეთობის ფორმა. ხელის ჩარხი ფეხის ჩარხმა შეცვალა. ახლა ოსტატს ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა და ხელისგულებს შორის მომწყვდეული გუნდიდან ჭურჭელი ამოჰყავდა. ნაწარმი გაცილებით მოხდენილი და მსუბუქი გახდა. გაუმჯობესდა გამოწვის წესიც. ჭურჭელი ძგიდით გამოჰყვეს ცეცხლის ალისაგან.

კერამიკის ხელოვნების პირველი საყურადღებო ნიმუშები ნეოლითის ხანამ მოგვცა. ეს არის ხელით ნაკეთი შავად შებოლილი თიხის ნაწარმი, განკუთვნილი საოჯახო-სამეურნეო საქმიანობისათვის და საკულტო დანიშნულებისათვის. გვაოცებს და გვხიბლავს მათი ლამაზი მოყვანილობა, ნაწილებს შორის შეფარდება და შემკულობის შესაფერი განლაგება. ნეოლითის ხანის შემკულობის დამახასიათებელი ნაწილებია: სწორი ხაზები, ბადე, წნული, რგოლები, ხვეულა, ტალღისებური ხაზი და სხვა. გვხვდება ცხოველისა და ადამიანის გამარტივებული პირობითი გამოსახულება. ნახატები კეთდებოდა ამოკაწვრის ან ჩაჭედვის საშუალებით. ზოგჯერ ზედ დაძერწვითაც. შავ ფერს ცუდი გამოწვის გამო იღებდა, ბოლით იჟღინთებოდა.

შემდგომი ნიმუშები ისევ უძველეს ხანას ეკუთვნის. ეს

საბერძნეთი. კერამიკოსი ხელის ჩარხზე მუშაობის დროს.



არის წითელი ფერით მოხატული კერამიკა. გაუმჯობესებულ ღუმელში თიხამ თავისი წითელი ფერი შეინარჩუნა. საღებავებად კი უმთავრესად ხმარობდნენ თეთრ თიხა-მიწას, რკინისა და მარგანეცის ჟანგს, რითაც იღებდნენ თეთრს, წითელს, ყავისფერს და შავ ფერს. ფერით მოხატული კერამიკის საუკეთესო ნიმუშები მოგვცა მესოპოტამიამ და კუნძულმა კრეტამ. მესოპოტამიის თასებს, ჯამებს, თეფშებს მკაცრი გეომეტრიული გამოსახულებები ამშვენებს. ხშირად რქოსან ცხოველებსაც ხატავდნენ. მოგვეპოვება ერთი შესანიშნავი თასი, რომელიც პირობითად ნადირობის სცენას გადმოგვცემს. ჭურჭლის შუაგულში ძლიერრქებიანი ჯიხვებია დახატული, ზევი-



შენობის ფასადის აგურით გამოყვანილი ორნამენტებით შემკობის მაგალითი.



ქვის ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი და შემკულობა.

მესოპოტამია. ქ. სუზა. თასი. წითელი თიხა. მოხატულია წითელი მოშავო ფერნაქით. გადმოცემულია ნადირობის სცენა.





ქ. ბაბილონი. იშტარის ჭიშკარის ფრაგმენტი. ფერადი, მოჭიქული აგურის საშუალებით ლაჟვარდი ფერის კედელზე გამოყვანილია ფანტასტური ცხოველი.

თა ზოლზე — მწევარი ძაღლები, ქვედა ზოლზე კი — მცენარეები.

კუნძულ კრეტას მოხატული კერამიკა თავისი ხასიათით სრულიად განსხვავდება მესოპოტამიის კერამიკისაგან. აქ გაცილებით მეტი თავისუფლება და მხატვრულობაა ნახატში. მეტწილად მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ხატავენ, განსაკუთრებით — ზღვის ცხოველებს: რვაფეხას, ნიჟარებს და სხვა. აქ, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, გამოსახულება ერთ ზოლზე ქამარივით კი არ ერტყმის, თავისუფლად, მთელ ჭურჭელზეა გაშლილი. დამატებით შეტანილია ყვითელი, მწვანე და ბაცი წითელი ფერი. ფონი ხშირად მუქი საგანგებო ლაქით არის გაკეთებული, რის გამოც ფერადი საღებავები უფრო ელვარებენ. განსაკუთრებით საინტერესოა ლარნაკი, რომელზედაც რვაფეხა არის გამოსახული. მისი გრძელი, დაკლაკნილი, ღილაკებიანი ფეხები მთელი ნაკეთობის ზედაპირზე ფანტასტიკურად არის გადახლართული და ნახატს ცხოველმყოფელობას ანიჭებს. ასევე საინტერესოა ფაიანსში გაკეთებული ქალღმერთების პატარა ქანდაკებები, რომელთა სახე და სამოსი გაფერადებულია, რაც ცოცხლად წარმოგვიდგენს კრეტელი ქალის მაშინდელ ტანისამოსს, ვარცხნილობას და საერთო იერს.

ძველმა ეგვიპტემ საინტერესო კერამიკული ნიმუშები მოგვცა. ესენია: ქანდაკებები, ლარნაკები, ჭურჭელი, კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი ფერადი, მოხატული ფილები.

არქიტექტურული კერამიკის გასაოცარი ნიმუშები დაგვიტოვა ქალაქ ბაბილონმა. მისი ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი, რომელსაც ქალღმერთ იშტარის სახელი ერქვა, თავიდან ბოლომდე მოპირკეთებული იყო ლაჟვარდისფერი მოჭიქული აგურით. (ჭიქური არის თიხაზე გამოწვით მიმაგრებული მინისებური მასა, რომელიც ზედაპირს პრიალსა და ელვარებას სძენს). ლაჟვარდისებურ ფონში ჩასმული იყო ცხოველების ფერადი გამოსახულებები. კედლის კიდეებს შემოვლებული ჰქონდა თეთრი ყვავილების ჩუქურთმები. ყველაფერი ეს უაღრესად დიდი ზემოქმედებითი ძალის მქონე სურათს ქმნიდა. ამ ქალაქში შემსვლელი ადამიანი გრძნობდა, რომ მდიდარ და უძლიერეს ღვთაებრივ ქალაქში მოხვდა.

ანტიკური საბერძნეთის კერამიკა ნამდვილი დიდი ხელოვნებაა, რომელმაც პირველად გადაწყვიტა სახვითი ხელოვნების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. საბერძნეთის კერამიკა ოთხ ძირითად ხანად იყოფა. პირველი ხანა გეომეტრიული სტილის ხანაა. ამ დროს შექმნილი მრავალნაირი ნივთი, დაწყებული 2 მეტრი სიმაღლის მქონე ლარნაკით და დამთავრებული პატარა ფიალით, მთლიანად დაფარული იყო გეომეტრიული ორნამენტების ქამრებით. ტეხილი ხაზი, ხვეულა, ბადე, — აი შემკულობის ძირითადი სახეები. ადამიანის სხეულიც კი ტეხილი ხაზით გამოისახებოდა. ამ პერიოდის ცნობილი ნიმუშები ათენის კარიბჭესთან აღმოაჩინეს. ეს უზარმაზარი ლარნაკებია, რომლებითაც მიცვალებულები დაუკრძალავთ. ნაკეთობა წითელი ფერისაა, ხოლო მოხატვა — მოყავისფრო.

მეორე ხანას შავფიგურიანი კერამიკა ეწოდება. აქ გეომეტრიული სახეები ადგილს უთმობს ადამიანის გამოსახულებას. მათ ხატავდნენ საგანგებო შავი საღებავით — ლაქით. ფიგურები მკვეთრად გამოირჩეოდა თიხის მოწითალო ფონზე. ადამიანის გამოსახულება უფრო ცოცხალი, უფრო ბუნებრივი გახდა. გამოსახულებაში ან მითოლოგიური სცენაა გადმოცემული, ან სამეურნეო საქმიანობა, სპორტული თამაშები. უპირატესობა კი გმირულ თემას ენიჭება. კერამიკის ამ ნიმუშებით თვალნათლივ ვხედავთ ბერძნების ყოფას 7-6 საუკუნეებში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ბერძნული კერამიკის მესამე პერიოდი უმაღლესი საფეხურია საერთოდ კერამიკის ხელოვნებაში. იგი, მთელ ბერძნულ კლასიკურ ხელოვნებასთან ერთად, უტყუარი დამადასტურებელია იმ ბრწყინვალე ეპოქისა. ამ დროის ნიმუშებში შავი ფიგურები ადგილს უთმობს წითელ ფიგურებს. ახლა, პირიქით, მთელი ჭურჭელი იფარება შავი საღებავით, ხოლო ფიგურების გამოსახატი ადგილი წითლად რჩება, და, წმინდა ფუნჯით, ადამიანის გამოსახულება იხატება. ნახატი შავია, თეთ-



კუნძული კრეტა. თიხის ლარნაკი. მოხატულია მწვანე, წითელი, შავი საღებავებით.



ქალღმერთის მრავალფერიანი გამოსახულება. ქაშანური.



საბერძნეთი. V საუკ. ოსტატი ევფრონი. პირველი მერცხლის მოფრენის სცენა.



სპარსეთი. მე-12-18 სს. წყლის ჭურჭელი. ფონი სპილოს ძვლის ფერისაა. მოხატულია ფერებით.

რი და სოსანი ფერების ძუნწი დამატებით (სამოსზე, არშიებზე და სხვა დეკორაციულ ადგილებში), რაც მას ერთგვარ შნოსა და ლაზათს ჰმატებს.

ხშირად ბერძენი ოსტატი თავის ნაკეთობას ხელს აწერს, რის მეოხებითაც ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ, როგორც ცალკეული ოსტატების ვინაობაზე, ისე დიდ კერამიკულ სახელოსნოებზე. მათი ნაკეთობები მაშინდელი სამყაროს სხვადასხვა ქალაქებში იგზავნებოდა და ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითადი სახე იყო. ამიტომ ბერძნულ კერამიკას მრავლად შეხვდებით დედამიწის ყველა კუთხეში. ჩვენშიც ბევრია მათი ნიმუშები.

კერამიკის ბოლო ხანა ელინისტური ხანაა. ამ დროს კერამიკა ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ნაჭედ ჭურჭელს ჰგავდა. ნაწარმი მთლიანად ნაძერწი — რელიეფური გამოსახულებით იფარება. ეს პერიოდი კერამიკის ერთგვარი დაქვეითების ხანაა, რადგან თიხა ჰკარგავს თვითმყოფადობას და ძველ მნიშვნელობას.

ბერძნულმა კერამიკამ გამოიმუშავა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმები, რომელთა შორის უმთავრესია — ო რ ყ უ რ ა  ა მ ფ ო რ ა, — დიდი ლარნაკი, წყლის მოსატანი ჭურჭელი — ჰ ი დ რ ი ა, ღვინის და წყლის ერთმანეთში გასაზავებელი ჭურჭელი — კ რ ა ტ ე რ ი (ბერძნები მხოლოდ წყალღვინოს სვამდნენ), ღვინის დოქები — ო ი ნ ო ხ ო ე ბ ი, ღვინის დასალევი ყურიანი თასი — კ ი ლ ი კ ი, ზეთის ნელსაცხებლის შესანახი დოქი, — ლ ე კ ი ფ ი და სხვა.

შუა საუკუნეებში კერამიკის ისტორიის სულ ახალი ფურცელი იშლება. ამ ეპოქაში კერამიკის მთავარი მწარმოებელი ქვეყნებია: სპარსეთი, თურქეთი, მავრები (ესპანეთი). მათი ნაწარმი უმთავრესად ფაიანსში სრულდება: ნახატი თეთრ მიწაზე (ფონზე) თავსდება და ლურჯი საღებავით იხატება, (ზოგჯერ სხვა ფერების დამატებითაც). ეს ნიმუშები ფორმითაც და მოხატულობითაც სრულყოფილია, მოქნილი ხაზი, ფანტაზია ახასიათებს. ერთმანეთშია არეული მცენარის, ცხოველისა და გეომეტრიული ორნამენტი. ოსტატს ძალზე დახვეწილი და თავისუფალი ხელი აქვს. გამოირჩევა სპარსული მოსაპირკეთებელი ელვარე ფილა. მათი მიზგითები (სამლოცველოები) ძირითადად ამ ფილებით კიდემდე არის ხალიჩასავით ამოქსოვილი. მზეზე ძალიან ლამაზად ელვარებს და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ესპანეთი ცნობილია მავრიტანული, უაღრესად ხატოვანი ლარნაკებით. ესპანეთიდან ფაიანსის კულტურამ იტალიაში გადაინაცვლა.

10663



ესპანეთი.

XV საუკუნე. ვალენსია. თეთრ ფონზე კობალტით მოხატვა.



თურქეთი XVI-საუკუნის დოქი. ფონი თეთრი. ნახატი მწვანე ფერით შესრულებული.



საფრანგეთი. XVIII ს. რუანი.

მრავალფეროვანი მოხატულობა.

იტალიელების დიდი გემოვნებით შესრულებული ნაწარმი კიდევ ერთი მიღწევაა კერამიკულ წარმოებაში. მათ კერამიკის ახალი სახე გამოიმუშავეს, ქანდაკება და რელიეფი ფერადი ჭიქურებით დაფარეს და შენობის კედლებში მოათავსეს. ამ სიახლის ფუძემდებელია მთელი გვარი — ლუკა დე ლა რობიების ოჯახი.

ფაიანსის აღმავლობას ნელ-ნელა ბოლო მოუღო ჩინეთიდან შემოტანილმა ძვირფასმა ფაიფურმა. ფაიფური კერამიკის ყველაზე დახვეწილი მასალაა და დიდი მხატვრული ძალით ხასიათდება. ფაიფური ევროპელებისათვის XVIII საუკუნემდე საიდუმლოებით მოცული და მიუწვდომელი რამ იყო.

კერამიკა, სახელდობრ თიხა და ფაიანსი, დღეს კვლავ აღმავლობის გზაზე დგას. თანამედროვე ოსტატებმა შეძლეს მასში ბევრი დაფარული შესაძლებლობა აღმოეჩინათ, იგი მთელი ძალით აემეტყველებინათ. დღევანდელ ყოფაში კვლავ ფეხი მოიკიდა თიხის საყოფაცხოვრებო ნივთებმა და არქიტექტურულმა დეტალებმა, რომელთაც იყენებენ ჩვენი ბაღებისა და პარკების დასამშვენებლად.

კერამიკა დღესაც ადამიანის ყოფისა და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი განუყრელი და მნიშვნელოვანი ნაწილია.





# ჭრელი ბურთი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

გივი ჭიჭინაძე

პიესა-ზღაპარი ერთ მოქმედებად.

მონაწილენი:

| | |
|---|---|
| შავი ბიჭი | ლურჯი გოგო |
| შავი ბიჭის დედა | მწვანე ბიჭი |
| თეთრი კატა | ყვითელი ბიჭი |
| თეთრი ბიჭი | დედა ჩიტი |
| თეთრი გოგო | ჩიტუნია |
| წითელი ბიჭი | ზღაპრული ფინია |
| | ძაღლი |

მაღალი ცათამბჯენის წინ კაფანდარა სახლი დგას. დილაა. მზემ იმძლავრა. შორიდან ქარხნის საყვირის ხმა მოისმა. კაფანდარა სახლიდან შავი ბიჭი და დედამისი გამოვიდნენ. უკან მოჰყვებათ თეთრი კატა, რომელიც აქეთ-იქით ეშმაკურად აცეცებს თვალებს.

დედა

არ წახვიდე, შვილო არსად,
არ გაშორდე ამ ჩვენს ეზოს,
ნუ აჰყვები უცხო ბავშვებს,
ჩხუბი უყვართ უმიზეზოდ.

შავი ბიჭი

მარტო ვიყო?

დედა

რატომ მარტო?
აი, შენი თეთრი კატაც!

შავი ბიჭი

თეთრი კატა! თეთრი კატა!
დახე უცებ სადღაც გახტა!

დედა

ალბათ თაგვი დაინახა
მშიერია, რა ქნას, შვილო.

შავი ბიჭი

ერთ ადგილზე ვერ ჩერდება,
დახტის ასე სასაცილოდ.
თეთრი ბეწვი რომ არ ჰქონდეს,
იკადრებდა ჩემთან თამაშს.

დედა

(ეალერსება) კარგი, რატომ
მოიწყინე,
ცრემლმა თვალი დაგინამა.

შავი ბიჭი

ერთი ბურთი მაინც მქონდეს!
რა ვაკეთო მარტოდმარტო...
ხომ მიყიდი ფერად ფანქრებს?
ყვავილები მინდა ვხატო.

დედა

ფერად ფანქრებს დღეს გიყიდი.

შავი ბიჭი

ბურთს დედიკო?

დედა

ბურთსაც მალე.

შავი ბიჭი

(ეხვევა და კოცნის)
რა კარგი ხარ, ო, რა კარგი,
დედი, შენ კი გენაცვალე!

დედა

აგერ ფისოც მოდის შენსკენ,
ითამაშეთ რა გადარდებს.

შავი ბიჭი

ნეტავ, აღარ დაიქანცა,
დღე და ღამე თაგვებს დასდევს!

დედა

(ბიჭს შუბლზე კოცნის)
აბა, შვილო, ფრთხილად იყავ!..

შავი ბიჭი

ნუ, ნუ ჯავრობ დედა, ასე!

დედა

ჭიშკრის იქით არ გახვიდე,
მანქანები დაჰქრის გზაზე...
(დედა გადის, შავი ბიჭი ფისოსთან მივა და ეალერსება)

შავი ბიჭი

ფისო, ფისო, თეთრო ფისო,
ნუღარ წახვალ აწი ნურსად,
ხმას არ იღებს გაისუსა...
ნუ დამტოვებ ფისო მარტო,
რახანია თამაშს ვნატრობ!
(კატა წამოდ[illegible] და გადასახტომად ემზადე[illegible])
ნეტავ, იქით ოას გაჰყურებს.
რა ციყვივით ცქვიტავს ყურებს.

ფისო

მიავ, ჩუმად,
აქ სადღაცა თაგუნია
დასუნსულებს.

შავი ბიჭი

ისევ თაგვი!
აღარ გეყო, დილით ერთი ხომ
შეჭამე.

ფისო

ის წრუწუნა გამაძღობდა,
უკან ვდიე მთელი ღამე!

შავი ბიჭი

ვითამაშოთ, თორემ ხტუნვით
სულ გაგცვივა ტანზე ბეწვი.

ფისო

მიავ, რა დროს თამაშია,
შიმშილისგან კუჭი მეწვის!..

შავი ბიჭი

აი, პური, მოდი ჭამე!



ფისო

რაში მინდა ჭვავის პური!

შავი ბიჭი

სხვა საჭმელი რომ არა მაქვს...

ფისო

(თავისთვის) მარტო პურს ჭამს
უბედური!
(ბიჭს კუდით მიუალერსებს).
მეცოდები...

შავი ბიჭი

დარჩი მერე,
მეგობრობა ასე უნდა?

ფისო

მიავ, ჩუმად! ვერ გაიგე?
თაგვი ისევ გაფაჩუნდა (გარბის)

შავი ბიჭი

(მოწყენილი იქვე ჩამოჯდება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუჭი თუ არ ამოიძლო,
ასე ირბენს ხვალ დილამდე.
ამ უგულო კატის ნაცვლად
რა იქნება, ძაღლი მყავდეს!
(შავი ბიჭი ნაღვლიანად დასცქერის მიწას. უცებ ღობეზე ჩიტუნია შემოჯდება, შეფრთხიალდება და სიმღერას დაიწყებს).

ჩიტუნია

ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ!

შავი ბიჭი

რაო, ჩიტო?
რას დამძახი ნეტავ ასე,
არ ჯობია, მეთამაშე!

ჩიტუნია

არა, არა, ვუფრთხი ბავშვებს!

შავი ბიჭი

მერე, რატომ?

ჩიტუნია

იმიტომ, რომ
დასაჭერად დამდევს ყველა.

შავი ბიჭი

მე იმ ბავშვებს როდი ვგევარ,
არ დაგიჭერ ჭიკჭიკელავ!
მომეწყინა მარტოდმარტო,
რა ხანია თამაშს ვნატრობ.
შენისთანა მეგობარი
ჯერ არასდროს არ მყოლია.

ჩიტი

არა, არა, ყველა ბიჭი
ცელქია და ქვასროლია!

შავი ბიჭი

ჩემს დედიკოს გეფიცები!

ჩიტი

ფიცი მწამს და დაჯერება მაინც
მიჭირს.

შავი ბიჭი

ჩემი ფერი ნუ გაშინებს,
ქვას არ გესვრის შავი ბიჭი.

ჩიტუნია

კარგი, რადგან ჩიტებისთვის
ქვა არასდროს არ გისვრია,
მე გიმღერებ ერთ სიმღერას
ლამაზსა და ხალისიანს.
(მღერის და თან ღობეზე ხტის)
შავო ბიჭო, შავტუხაო,
ასე რამ შეგაწუხაო!
დახე, ცეკვა ვიცი მეო,
მიყურე და იცინეო.
დედამ ფრენა შემასწავლა,
ადრე ვდგები დილითაო.
ღობის თავზე შემოვჯდები,
დავხტი ასკინკილითაო.
სკუპი-სკუპი-სკუპ-სკუპელა!
ხან ასე და ხან ისეო,
შენც ამყევი შავო ბიჭო,
გული გაიხალისეო!
(ჩიტი ღობეზე ხტის და მღერის. გაოცებული ბიჭი კარგახანს შეჰყურებს მას: ისე გაიტაცებს ფრინველის გალობა, რომ ყველაფერი გადაავიწყდება და თვითონაც ცეკვას დაიწყებს. უცებ ღობეზე თეთრი კატა გაჩნდება და ჩიტს ბრჭყალებში მოიქცევს!

ჩიტუნია

ვაი, ვაი, მომეშველეთ,
კატა მეცა, გამკრა ბრჭყალი!

შავი ბიჭი

(კატას მივარდება და თავში ჩაარტყამს).
თათი უშვი, საძაგელო,
არ შეჭამო, ეგ საწყალი.
თორემ მაგ ტყავს სულ გაგაძრობ
და მაკრატლით დაგჭრი
ბრჭყალებს!
(ჩიტს წაართმევს და ხელისგულზე დაისვამს)

ჩიტუნია

უი, როგორ შემეშინდა,
გული როგორ მიფართხალებს!

შავი ბიჭი

(სიყვარულით დაჰყურებს)
ჰა, დალიე, ჩიტო წყალი,
ხომ გადარჩი, ნუღარ ღელავ.

ფისო

მიავ! ჩიტის ხორცი მინდა!

შავი ბიჭი

ვერ მოგართვეს, ღორმუცელავ,
(პანღურს ამოჰკრავს და გააგდებს)
შენ კი ჩიტო-ჩიტუნიავ,
წამო ჩემთან, არ გსურს ფეტვი?

ჩიტუნია

არა, გმადლობთ, სჯობს შინ
წავალ
და ამ ამბავს დედას ვეტყვი,
თორემ დროზე თუ არ მივალ
ჩაუდგება თვალში ნისლი!

შავი ბიჭი

კარგი, წადი ჩიტუნიავ,
აბა, მარდად, ფრინდი-ფრინდი!
(ჩიტს გაუშვებს, შავი ბიჭი უკან გაჰყვება და ღია შიშკართან მივა. ჭიშკრის წინ თეთრი ბიჭი და გოგო გამოჩნდებიან. ბიჭს დიდი ბურთი უკავია, გოგოს — სახტომელა თოკი).

თეთრი ბიჭი

თოკს მოეშვი, მეტიჩარავ
ვითამაშოთ ბურთი ჩქარა!

თეთრი გოგო

ბურთისათვის სულ არ მცხელა,
თოკი მიყვარს სახტომელა!
(ხტის და თამაშობს)

შავი ბიჭი

(თეთრ ბიჭთან მივა და შორიახლო შეჰყურებს)
რა კარგია!

თეთრი ბიჭი

რას მიყურებ?!

შავი ბიჭი

ძლიერ მომწონს შენი ბურთი.

თეთრი გოგო

სახტომელა არ ჯობია,
აბა ჩემსკენ შემობრუნდი!

შავი ბიჭი

(ახლა გოგონასკენ შემობრუნდება).
სახტომელაც კარგი არის,
მაგრამ, ბურთი — უფრო კარგი,
(ისევ ბიჭისაკენ შეტრიალდება).
მათამაშე!

თეთრი ბიჭი

არა, შენთან
დრო არა მაქვს დასაკარგი.

შავი ბიჭი

რა იქნება, ერთი წამით!

თეთრი ბიჭი

ამ ბურთს ხელი არ შეახო,
დედაჩემი დაგინახავს,
ნუ დადგები ჩემთან ახლოს.

შავი ბიჭი

(მოიწყენს და თეთრ გოგოსკენ შემოტრიალდება)
მეთამაშე, თეთრო გოგოვ,
მარტო დავრჩი კიკოსავით.

თეთრი გოგო

უჰ, რას ამბობ, გასულელდი
მე — თეთრი ვარ, შენ კი შავი,
(გაეცლება. სახედაღვრემილი შავი ბიჭი ეზოში შემოდის და იქვე — მწვანე ხის ქვეშ ჩამოჯდება. უეცრად ფრინველების ჟივჟივი მიიქცევს მის ყურადღებას. ეზოში ჩიტუნია და დე-





დაჩიტი შემოფრინდებიან, ნის-
კარტებით, დიდ, ჭრელ ბურთს
მოაქროლებენ).

ჩიტუნია

აი, ჩემო კარგო ბიჭო,
გვსურს ასრულდეს ნატვრა შენი.

შავი ბიჭი

რომელი ხარ?

ჩიტუნია

ის ჩიტი ვარ,
შენ რომ წყლან დამიხსენი!
ეს კი ჩემი დედა არის.

დედა ჩიტი

გულკეთილო, კარგო ბავშვო,
ეს ზღაპრული ჭრელი ბურთი
შენთან მოგვაქვს სათამაშოდ.
(ბურთს წინ დაუდებენ)
ახლა, ვიდრე გავფრინდებით,
კვლავ მოგვაპყარ ყური კარგად:
როცა რამე დაგვჭირდება,
ამ ზღაპრულ ბურთს ხელი
დაჰკარ
და უსაზღვროდ რომ მოიმკა
იმ სიკეთის საზღაური,
ინატრე და აგიხდება
ყოველგვარი სასწაული.

შავი ბიჭი

(გახარებული მიდის ბურთთან)
ეს ჩემია?

ჩიტუნია

დიახ, დიახ!

დედა ჩიტი

კიდევ რა გაქვს სანატრელი?

შავი ბიჭი

მეგობრები მინდა მყავდეს!

დედა ჩიტი

მაგ ბურთს სამჯერ დაჰკარ ხელი!

შავი ბიჭი

ოღონდ, ჩიტო, ჩიტუნია,
ნაირფერი იყოს ყველა!

დედა ჩიტი

ასრულდება შენი ნატვრა,
შავო ბიჭო, შავტუხელავ!
(ჩიტები გაფრინდებიან; შავი ბიჭი
ბურთს მიუახლოვდება.)

შავი ბიჭი

ო, ნეტავი რა მოხდება!
რა სიამით მიცემს გული.
(შავი ბიჭი ბურთს მესამედ რო-
გორც კი დაჰკრავს ხელს, ბურ-
თი შუაზე გადაიხსნება და ოთხი
სხვადასხვა ფერის გოგო-ბიჭი
ამოვა. თითოეულს ძაფზე გამო-
ბმული თავისივე ფერის ბუშტი
უკავია).

ერთხმად

შავ ბიჭს დილა მშვიდობისა!

შავი ბიჭი

(გაოცებული შეჰყურებს მეგობ-
რებს და თან თვალებს იფ-
შვნეტს)
აი, მართლაც სასწაული!
სწორი მითხრეს — კაცს სიკეთე
უქმად თურმე არ ჩაუვლის.
გამარჯობათ, მეგობრებო,
გამარჯობათ... გამარჯობათ...
(გახარებული სათითაოდ ართ-
მევს ხელს ყველას და ფერად
ბუშტებს ათვალიერებს)
ეს ბუშტებიც ჩემი არის?...

ერთხმად

სხვას ვის მივცემთ
ამ ჭრელ ნობათს.

შავი ბიჭი

რა კარგია, რა ლამაზი!

წითელი ბიჭი

ჰა, წითელი ფერის ბუშტი! (წი-
თელ ბუშტს აძლევს)

ლურჯი გოგო

ეს ლურჯია (ლურჯ ბუშტს
აწვდის)

მწვანე ბიჭი

ეს კი მწვანე (მწვანე ბუშტს მიუ-
მატებს)

ყვითელი ბიჭი

გამოგვართვი! (ფერადი ბუშტე-
ბის გროვას ყვითელ ბუშტსაც
მიუმატებს!)
რაღას უცდი!

შავი ბიჭი

(ბუშტები ხელში უკავია და თვა-
ლებგაბრწყინებული შეჰყურებს)
მე ასეთი კოხტა ბუშტი
ერთხელ მქონდა, ისიც ერთი!
ახლა მოდით, ვითამაშოთ.

წითელი ბიჭი

ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი!
(ხელს ართმევს)
მე წითელი ბიჭუნა ვარ.

ლურჯი გოგო

მე ლურჯთვალა გოგო მქვია!

მწვანე ბიჭი

მე მწვანე ვარ მოხასხასე!

ყვითელი ბიჭი

მე კი მზისას მეძახიან!

შავი ბიჭი

(აღტაცებული)
სულ ხუთნი ვართ...

წითელი ბიჭი

ჰერი, ჰერი!.
ამ ბურთს მარდად გავკრათ
ხელი!..
აბა, წრეში ჩავდგეთ ახლა
და ვისროლოთ ბურთი მაღლა!
(მხიარულ თამაშს გააჩაღებენ,
თან ხმაშეწყობილად მღერიან)
რა კარგია ჩვენი ბურთი,
ირგვლივ დაჰკრავს ოთხი ფერი,
აბა, ქვეყნად რომელია,
ჩვენზე უფრო ბედნიერი!

შავი ბიჭი

(იქვე ჩამოჯდება) ახლა ცოტა
დავისვენოთ...

წითელი ბიჭი

მართლაც ძლიერ დავიქანცეთ!

შავი ბიჭი

აგერ ჩემი კატაც მოდის,
გამებუტა ხმას აღარ მცემს.

ლურჯი გოგო

უჰ, რა კარგი კატუნაა,
თეთრი, თეთრი ბროლისფერი.

კატა

მიავ! მიავ! მიაავ! მიაავ!

ლურჯი გოგო

ყური უგდეთ, მგონი მღერის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ბიჭი

(ბურთს უჩვენებს) ფისუნიავ,
ამისთანა დიდი ბურთი
თუ გინახავს სიზმარშიაც.

კატა

მიავ, ბურთს რა თავში ვიხლი,
როცა მშია, მიავ, მშია!

წითელი ბიჭი

მეც მომშივდა!

ყვითელი ბიჭი

მეც მომშივდა!

მწვანე ბიჭი

ჭამის დროა!

ლურჯი გოგო

(შავ ბიჭს) მოგვეც რამე!

შავი ბიჭი

(ისევ მოიწყენს) მხოლოდ ჭვავის
პური მქონდა,
ჰოდა, წელან სულ შევჭამე.

ლურჯი გოგო

ოო, მეც მიყვარს ჭვავის პური.

ყვითელი ბიჭი

მე პური და ჭყინტი ყველი!

კატა

ვერაფერსაც ვერ მიირთმევთ,
ღარიბი გყავთ მასპინძელი.

შავი ბიჭი

ნეტავ, რა ვქნა.

ლურჯი გოგო

დედას სთხოვე.
(გაბრაზდა) როგორ, დედა არ
გყავს განა?!

ყვითელი ბიჭი

ჯერ არასდროს არ მინახავს
ძუნწი ბიჭი ამისთანა!

შავი ბიჭი

არა, არა ძუნწი არ ვარ...
მაგრამ რა ვქნა, არ მაქვს პური...
მალე მოვა დედაჩემიც...

წითელი ბიჭი

ღარიბია უბედური!
(თეთრმა გოგო-ბიჭმა ყური მო-
ჰკრა მათ ლაპარაკს.)

ერთხმად

ჩვენსკენ, ჩვენსკენ
გადმობრძანდით,
აქ გაგიშლით ლამაზ სუფრას.
ჩვენი ეზო დიდი არის,
ვითამაშებთ თავისუფლად.

თეთრი გოგო

ნეტავი რამ ჩაგაფიქრათ,
ჰა, გადმოდით, რაღას უცდით.

თეთრი ბიჭი

შავი ბიჭი მანდვე დარჩეს,
წამოიღეთ ჭრელი ბურთი.

წითელი ბიჭი

არა, არა, ჩვენს მეგობარს
ვერ დავტოვებთ ასე მარტო.

ლურჯი გოგო

რა ვუყოთ რომ ღარიბია,
უგულობას როდი ვატყობთ.

ყვითელი ბიჭი

თუკი საჭმელს ვერ გვიშოვის,
მაშინ მისგან რაღას ველით?

შავი ბიჭი

რა ვქნა, რა ვქნა, რა ვიღონო!
(უცებ დედაჩიტის ხმა ჩაესმა)
ბურთს დაჰკარი სამჯერ ხელი!
(შავი ბიჭი ბურთთან მივა და სა-
მჯერ დაჰკრავს ხელს)
აბა, ბურთო, გაახარე
სტუმარი და მასპინძელიც!
(ბურთი კვლავ გადაიხსნება და
ამოფრიალდება ჯადოსნური სუ-
ფრა, რომელსაც გახარებული
გოგო-ბიჭები შემოუსხდებიან.
შურით აღვსილი თეთრი და-ძმა
ღობიდან იჭყიტებიან).

ძმა

ხედავ გოგო, ეს რა არის!

და

ჯადოსნური სუფრა ჭრელი.
სულო, გულო, რაც კი გინდა,
ზედ აწყვია თავსაყრელად.

ძმა

ქათმის ხორცი!

ძმა

გადავიდეთ, ოღონდ ისე,
დედამ რომ არ დაგვინახოს.
ფრთხილად იყავ, შავტუხასთან
ნუ დაჯდები მაინც ახლოს!
(გადმოვლენ და სუფრას მოუს-
ხდებიან).

წითელი ბიჭი

აბა, ერთი შემოვძახოთ!
მე სიმღერა მიყვარს ლაღი.

მწვანე ბიჭი

მართალია, მეგობრებო,
უსიმღეროდ ლხინი არ ღირს...

ყვითელი ბიჭი

ერთი ცეკვაც გაგვახარებს,
ლურჯო გოგო, აბა ტაში!
ტაში! ტაში! ტაში!
ამოუდექ შავბიჭს მხარში!
(ლურჯი გოგო ხელს გაშლის და
ცეკვას დაიწყებს, მერე სხვებიც
აჰყვებიან)



და

თეთრი პური!

ძმა

ფორთოხალი!

და

აგერ სოკოც!

ძმა

უჰ, საზამთროც დავინახე!

და

როგორ მინდა, ვაი, როგორ!

შავი ბიჭი

(თავაზიანად) თუ ისურვებთ
გადმობრძანდით!

ლურჯი გოგო

რა კარგია, აი, მარწყვი!

და

გადავიდეთ, გადავიდეთ!

შავი ბიჭი

შენც იცეკვე, ფისუნია,
მითხარ, თათი ხომ არ გტკივა!

ფისო

არა, არა, მეც დავუვლი,
რადგან უკვე მაძღარი ვარ!
(თეთრი ბიჭი ბურთისკენ იცქი-
რება და დას უჩურჩულებს):

თეთრი ბიჭი

ჩვენ ეს ბურთი მოვიტაცოთ!

თეთრი გოგო

მოვიტაცოთ, მაგრამ ფრთხილად!
(ბურთს მიეპარებიან და ხელს
სტაცებენ)

თეთრი ბიჭი

აბა, ახლა გავიპაროთ,
ვიდრე ცეკვით არ დაღლილან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შავი ბიჭი**

(უცებ შეამჩნევს, რომ ბურთი თავის ადგილზე აღარ დევს.)
ჩემი ბურთი!

**წითელი ბიჭი**

ჭრელი ბურთი!

**ლურჯი გოგო**

ვინ წაიღო?

**მწვანე ბიჭი**

ვინ მოგვპარა?

**ყვითელი ბიჭი**

ქურდი იყო, ალბათ ქურდი.

**წითელი ბიჭი**

დავიჭიროთ, ჩქარა, ჩქარა!
(ოთხივე მხარეს მოირბენენ და ჭიშკრიდან გარეთ გამოვლენ).

**შავი ბიჭი**

(დაღონებული თეთრი და-ძმის ეზოსკენ იცქირება)
იმ ბურთს არვინ წაიღებდა,
თეთრი გოგო-ბიჭის მეტი.

**ლურჯი გოგო**

თუ ასეა, წავალთ ახლა
და იმ ბიჭის დედას ვეტყვით.

**შავი ბიჭი**

დედა უფრო ბოროტი ჰყავს,
არ გაგიღებს სახლის კარებს.

**ყვითელი ბიჭი**

მაშინ ბიჭის მამას ვნახავთ.

**შავი ბიჭი**

ახლოსაც არ მიგიკარებს.

**მწვანე ბიჭი**

მაშ, რაღა ვქნათ?!

**ყვითელი ბიჭი**

სად წავიდეთ?!

**შავი ბიჭი**

არაფერში არ მაქვს ბედი...

**ლურჯი გოგო**

(მოწყენილი)
ჩვენ ხომ ლამე შავო ბიჭო,
იმ ჭრელ ბურთში ვიძინებდით.
(შავი ბიჭი და მისი ფერადი მეგობრები ჭიშკართან ჩამოსხდებიან. უცებ შავ ბიჭს მხარზე დედაჩიტი დააჯდება.)

**დედა ჩიტი**

ნუ მოიწყენთ მეგობრებო,
ის ზღაპრული ჭრელი ბურთი,
ბოროტ და-ძმას ამ საქციელს
ნახეთ როგორ გადაუხდის.
ახლა მიდით მათ ჭიშკართან
და ეზოში შეიჭყიტეთ.
(შავ ბიჭს მიუალერსებს)
გასაჭირში შავო ბიჭო,
ისევ უხმე ნაცნობ ჩიტებს!
(გაფრინდება. ფერადი მეგობრები და შავი ბიჭი მეზობელ ჭიშკარს მიადგებიან. ზოგი ჭიშკრის ღრიჭოში იჭყიტება, ზოგი კი — ღობეზე შემოდგება).

**შავი ბიჭი**

(მოწყენილი)
ბურთს თუ ჩუმად წაიღებდნენ,
ამას როგორ ვიფიქრებდი!

**ფერადი მეგობრები**

(ერთხმად)
ჩუმად, ჩუმად, ხმას ნუ იღებ,
რა მოხდება ვნახოთ ერთი...
(ეზოში თეთრი და-ძმა მოტაცებულ ბურთს თავს დასტრიალებენ.)

**თეთრი ბიჭი**

შავტუხამაც ასე არ ჰქნა,
ამ ბურთს სამჯერ დაჰკრა ხელი.

**თეთრი გოგო**

მოიფიქრე, რა ვინატროთ?

**თეთრი ბიჭი**

აბა, რა გვაქვს სანატრელი!

**თეთრი გოგო**

არაფერი არ გვაკლია,
რაც ახარებს გულსა და თვალს.

**თეთრი ბიჭი**

დედ-მამა გვყავს...

**თეთრი გოგო**

მანქანა გვაქვს...

**თეთრი ბიჭი**

ბურთს რაც უნდა,
ის მოგვართვას...
(ბიჭი ბურთს მიუახლოვდება და ხელს სამჯერ დაჰკრავს. ბურთი დატრიალდება, დაბზრიალდება და გაიხსნება. ცეცხლისფრად მოელვარე გულიდან უცებ ფინია ძაღლი ამოხტება და შეშინებულ და-ძმას საკბენად გამოეკიდება).



**თეთრი ბიჭი**

ეს რა არის?

**თეთრი გოგო**

რა და ძაღლი!

**თეთრი ბიჭი**

უხ, ეგ ძაღლი გვაკლდა სწორედ!

**თეთრი გოგო**

ვაი, ვაი, მოგვეშველეთ!

**თეთრი ბიჭი**

ძაღლი მოგვდევს მოგვაშორეთ.
(ფერადი მეგობრები, ღობის იქით სიცილით იჭაჭებიან)

**ლურჯი გოგო**

ციცქნა ძაღლმა შეაშინათ
რასა ჰგვანან ერთი დახეთ.

**ყვითელი ბიჭი**

რა ყოფილა თეთრი ბიჭი,
სულ მუხლები უცახცახებს!

**წითელი ბიჭი**

ის გოგო კი როგორ გარბის!

**ლურჯი გოგო**

გადასანსლავს ალბათ ბოლოს.

**შავი ბიჭი**

მივეშველოთ

**მწვანე ბიჭი**

გასულელდი!
ასე უნდა ქურდს და ბოროტს!

**თეთრი გოგო**

კაბა სულ მთლად დამახია!

**თეთრი ბიჭი**

მოგვეშველეთ, ჩქარა, ჩქარა!

**თეთრი გოგო**

ო, ეს ბურთი, ჭრელი ბურთი,
ნეტავ სულ არ მოგვეპარა!

**შავი ბიჭი**

ახლა დროა, კარს გავუღებ,

**თეთრი გოგო**

ვაი, ვაი, თმაში მეცა!

**ლურჯი გოგო**

ახი არის, ახი არის!

**ერთხმად**

მოგიხდება მატრაკვეცავ!

**შავი ბიჭი**

მეცოდება, მივეშველოთ
იმ გოგონას პაწაწინას.
მართალია უგულოა,
მაგრამ მაინც ნუ გავწირავთ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ბიჭი

(შავ ბიჭს ევედრება)

დაგვიხსენი, შავო ბიჭო.

შავი ბიჭი

(ჭიშკარს გახსნის)

ჰა გამოდით ჩქარა გარეთ.

თეთრი ბიჭი

მაგ ჭიშკარშიც ძაღლი ჩადგა,
ახლა რაღას გაგვატარებს.

შავი ბიჭი

(ეზოში ჩახტება თეთრი და-ძმის მისაშველებლად. ძაღლი ახლა მას გამოუდგება).

თეთრი ბიჭი

ძაღლი შავ ბიჭს გამოუდგა!

შავი ბიჭი

არც მე მინდობს, ერთი დახეთ!

(ბურთთან მიირბენს და ხელს სამჯერ დაჰკრავს)



არაფერი არ გამოვა,
ბურთში თუ არ ჩავუძახე.

(ბურთს როგორც კი შეეხება, ფინია ძაღლი მაშინვე შეწყვეტს ყეფას, უკან-უკან დაიხევს და ბურთში ჩახტება, ძაღლს შავი ბიჭის მეგობარი გოგო-ბიჭებიც და მათ მიერ მოტანილი ფერადი ბუშტებიც აედევნებიან. შავი ბიჭი თეთრ და-ძმასთან ერთად გაოცებული შეჰყურებს ამ ამბავს.)

შავი ბიჭი

ის ფერადი გოგო-ბიჭი
რატომ გაჰყვა იმ ძაღლს კუდში?

თეთრი ბიჭი

ნეტა ერთი, მაგას ვჯავრობ,
რაკი ასე გადავურჩი!

თეთრი გოგო

(ეფერება)

გმადლობთ, გმადლობთ, შავო ბიჭო,
რა კარგი ხარ, რა კეთილი!

თეთრი ბიჭი

ეს ამბავი, გწამდეს, ჩვენთვის
არის მწარე გაკვეთილი.

თეთრი გოგო

მუდამ ერთად ვითამაშებთ,
ვერვინ გვნახავს აწი უბრად.

თეთრი ბიჭი

როცა გინდა, ჩვენს ეზოში
გადმობრძანდი თავისუფლად.

თეთრი გოგო

(სახტომელა თოკს უწვდის)

აი, ჩემი სახტომელა.

თეთრი ბიჭი

ჰა, ეს ციცქნა ბურთიც გქონდეს!
დღეის შემდეგ ტკბილად ვიყოთ,
ნუ ვიჩხუბებთ ნურასოდეს!

შავი ბიჭი

გმადლობთ, გმადლობთ, მაგრამ შეხეთ,
მზემ მთის წვერი მიატოვა.
სამუშაო დღე დამთავრდა
და საცაა დედაც მოვა...

თეთრი გოგო

კარგი, მაშინ ხვალ გვეწვიე...
დაგიძახებთ დილით ადრე!

შავი ბიჭი

(თავს უქნევს)

ახლა ამ ბურთს შინ წავიღებ
და დანარჩენს იქ ვინატრებ.

(შავ ბიჭს ზღაპრული ბურთი ეზოდან გამოაქვს... მზე ჩადის და ყველაფერი თანდათან ქრება.

კაფანდარა სახლის წინ სამუშაოდან დაბრუნებული შავი ქალი თავზე დასდგომია მძინარე შვილს და აღვიძებს.)

დედა

გაიღვიძე, ჩემო ბიჭო!..

(შავი ბიჭი წამოხტება და დაფეთებული აქეთ-იქით იყურება)

მე ვარ შვილო, ასე ნუ კრთი!
რას დაეძებ?



შავი ბიჭი

აქ არ მქონდა,
ვინ წაიღო ჩემი ბურთი?
ის ზღაპრული ბურთი იყო,
დედაჩიტმა მომცა ჯილდოდ.
შიგნით ისხდნენ მეგობრები, —
ჯადოსნური სუფრაც იდო.

დედა

(ეალერსება)

ძილში ნახე ალბათ შვილო,
კარგი ახლა, რატომ ღელავ!
გული ასე რატომ გიცემს
ჩემო ბიჭო, შავტუხელავ!
აბა, ახლა შინ შემოდი,
ვახშმის დროა...
ვჭამოთ რამე...
აგერ ფისოც მოცუქცუქებს,
გარეთ ხომ არ დაალამებ...
მოიწმინდე ცრემლი თვალზე
ვაჟკაცი ხარ, არ გიხდება.
ის სიზმარი სანატრელი
შვილო, მალე აგვიხდება!

(დედა გადის, თეთრი კატა მივა შავ ბიჭთან. ფეხზე გაეხახუნება და კნავილით სახლისკენ წავა).

შავი ბიჭი

დედაჩიტო, კარგო ჩიტო,
ახალისებ ყველას სტვენით...
სხვა ზღაპრულ ბურთს რომ მომიტან,
მჯერა შენი, მჯერა შენი!

(სცენაზე გამოგორდება ჭრელი ბურთი. ბურთიდან ამოცვივდებიან ბავშვები და მხიარულ თამაშს გააჩაღებენ, თან ხმაშეწყობილად მღერიან):

რა კარგია ჩვენი ბურთი,
ირგვლივ დაჰკრავს ოთხი ფერი,
აბა ქვეყნად რომელია!
ჩვენზე უფრო ბედნიერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი გზის სათავესთან

ქართულ ჭედურ ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ტრადიციები აქვს. ამჟამად ამ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ და ავითარებენ ახალგაზრდა ქართველი ოსტატები, რომელთა ნამუშევრებმაც შორს გაითქვა სახელი.

დიდად სასიხარულოა, რომ ხელოვნების ამ საინტერესო ჟანრისადმი ლტოლვა ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდებშიც შეიმჩნევა და, რაც მთავარია, ზოგი მათგანი უდავო ნიჭიერებას ამჟღავნებს. სწორედ ასეთია თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **ნიკა ფაღავა.**

ნამუშევრები, რომლებიც ნიკა ფაღავას თავისუფალ დროს შეუქმნია, საკმაოდ მრავალფეროვანია. თვითეული ნამუშევარი დიდი გულმოდგინებითა და გემოვნებით არის შესრულებული.

ნიკას ლითონის უბრალო ფირფიტაზე მეტყველად აღუბეჭდავს ქართველი ქალიშვილის სახე. მთელი ნამუშევარი ავტორის დაკვირვებულობას მოწმობს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხატვარი ჭედურ ხელოვნებაში გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე მხატვრობის სხვა სახეებში. ჭედურ ნამუშევარში ყოველი ხაზი უაღრესად დახვეწილი უნდა იყოს ვინაიდან ეს ხაზები რელიეფურია, თანაც ყურადღება უნდა მიექცეს განათებასაც (ხედვის დროს). ნიკა ფაღავა, პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების წყალობით, სასურველ შედეგს აღწევს.

აგერ, „ეშმაკი“. ნიკა თამამი შტრიხებით გადმოგვცემს თავისი ფანტაზით შექმნილ ამ ზღაპრულ არსებას. ბევრისმეტყველია „ზანგის“ სევდიანი თვალები. „გოგონა“ კი ნამდვილი ბავშვური, მიამიტი თვალებით შემოგვყურებს... საინტერესოა აკვარელით შესრულებული „ეკლესია მთაზე“. კომპოზიციურად მშვენიერად გადაწყვეტილ ამ ნამუშევარში რომელიმე კონკრეტული ტაძარი როდია გამოსახული, იგი ხუროთმოძღვრული ძეგლებით შემკული ჩვენი მთაგორიანი ქვეყნის სილამაზით არის შთაგონებული. ყურადღებას იქცევს ზღვის კენჭებისაგან გაკეთებული სამკაულები: „შოთა რუსთაველი“, „ქალიშვილი“, „ზანგი“ და სხვები. მათი შექმნა არაპროფესიონალი მხატვრისათვის საკმაოდ რთული საქმეა, მაგრამ ნიკას ეს ამოცანა წარმატებით დაუძლევია. ეს ნამუშევრები ახალგაზრდა ავტორის შრომისმოყვარეობასაც მოწმობს.

ნიკა ფაღავა ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და დიდი გზა აქვს გასავლელი, სანამ ჩამოყალიბებული შემოქმედი გახდებოდეს. დამწყებ მხატვარს შემდგომ დაოსტატებასა და შემოქმედებითს წარმატებას ვუსურვებთ.



ქალიშვილის პორტრეტი

ედუარდ ამბოკაძე,
მხატვარი.

ბერძენ პოეტს სპიროს პაპაგეორგიუსს

# ელადის პასუხი

ფოთულა იანაკოპულუ



„ეშმაკი"



„გოგონა"



„ზანგი"

არც კი ვიცნობდით გუშინ ერთმანეთს,
დღეს მეგობრობის გვადგას უღელი,
ორი პოეტის გული მფეთქავი
შეერთებულა ერთი წუხილით.

ვგავართ ცალ-ცალკე აღერილ ხეებს,
და გვაქვს სხვადასხვა ჰანგი და ჩერო,
მაგრამ ქარიშხლით აწეწილ დღეებს
ერთად შევხვდებით, კეთილო ჩემო.

მინდა გიამბო შენც, სხვებსაც, ყველას,
მინდა მოვნახო სიტყვა მკაფიო,
თუ ჩემი ხალხის ბრძოლა და ღელვა
ვით გვიახლოვებს მბრწყინავ დაფიონს.

მინდა გაგანდო ოცნების ფერი,
ძახილი მიზნის, რომ ჰგავს ალიონს,
წყვდიადს შეება ვაჟკაცი ბევრი
და შეეწირა მზეს სახვალიოს.

მინდა... ჰო, მაგრამ ამაოდ ვშვრები,
მემსხვრევა სიტყვა, ვით სატევარი...
ჩვენ ერთად ვივლით მართალი გზებით,
ერთი გვაქვს ფიქრი და სატკივარი.

ერთი სანგრიდან ბოროტ სტიქიონს
შევხვდებით მალე ტყვიებით ცხელით.
გვედრებ: შეუწყვე ხმა ამ სტრიქონებს
და შეაშველე ოცნებას ხელი.

დაფით, ნაღარით, საყვირით, სტვირით—
დავრაზმოთ ხალხი, გავუძღვეთ მხნედა,
დამონებული მიგველის, სპირო,
ელადა — ჩვენი ამაყი დედა.

თავისუფლების ყვავილებს ელის,
ბედნიერების შრიალს და სიცილს;
ო, ძმაო, სპირო, მომეცი ხელი,
მსურს ერთგულების ჩავუთქვა ფიცი.

ახლა კი წადი უცხო მხარიდან,
სად მიწოდებენ შვილსა და მოყვასს.
აუწყე მამულს: არ ვარ ღარიბად
და მხოლოდ მისი სიკვდილი მომკლავს.

ამცნე ფიქრები, შვილის გუმანი
(არ დაგისველოს ლექსები თქორმა),
ჩემი უძილო თავსასთუმალი,
ჩუმი ალერსი, განგაში, თრთოლვა.

წაუღე ჩემი ჰანგი ალალი,
და მწუხარება ამომშრალ თვალთა.
ო, ერთხელ მაინც ვნახო მამული,
არას ვისურვებ ამ ნატვრის გარდა.

ვდგავარ მწირივით და ხელებს მიქნევ, —
დაიმახსოვრე ჩემი სახება,
ჩემს სტრიქონებად გარდვიქმნა იქნებ
და ისევ შევძლო სისხლის აღება.

მომეც შეძლება მეორედ მოსვლის,
მსურს ტალღად მექცეს შრიალი კაბის,
რომ გავიტაცო ხომალდი მგოსნის
და საოცნებოს მივგვარო ნაპირს.

მადლობის ნიშნად მსურს გექცე ზეცად,
შენ და ელადა ვერც მიცნობთ ალბათ,
რომ ვაფრიალო მთვარეც და მზეცა —
თავისუფლების დროშად და ალმად.

ან შენ შეები უფსკრულს აჯებას,
აქციე ხიდად ოცნება კაცთა,
რომ არ წალეკოს მდინარეებმა
კეთილშობილი გრძნობა და განცდა.

რომ არ დასჭირდეს „ძმობას" ბწკარედი,
ბოროტი კვალიც გაქვავდეს მერე...
ო, ჯერ საზღვრები ჰყოფენ პლანეტას,
მაგრამ გულები უსაზღვროდ ძგერენ.

თარგმნა ნელი გაგრიჩიძემ.

# გიგლა ბიჭის ამბავი

გიგლა XVIII საუკუნის თბილისში, მეფე ერეკლე მეორის დროს დაიბადა. რომ წამოიზარდა, მშობლებმა მასწავლებელს მიაბარეს. მასწავლებელი ყოველნაირად ცდილობდა გიგლას ესწავლა, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა. გიგლამ წერა-კითხვა კარგად ისწავლა და მეტს გული აღარ დაუდო. მშობლებმა, რაკი ვერაფერი შეასმინეს, გიგლას სწავლა მიატოვებინეს და თბილისში განთქმულ ჭონს (ქუდების მკერავს) მიაბარეს.

გიგლა ბეჯითი შეგირდი გამოდგა; ცდილობდა მალე დაოსტატებულიყო ქუდების შეკერვაში, მაგრამ, მოულოდნელად, დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამ დროს მას თორმეტი წელი შეუსრულდა.

1766 წლის გაზაფხულის ერთ დილას ჭონმა გიგლა წყალზე გაგზავნა. გიგლა წავიდა, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. ხმა დაირხა: გიგლა დაიკარგაო, ალბათ წყალში თუ ჩავარდა და დაიხრჩოო. რამდენიც არ ეძებეს მშობლებმა, თანაუბნელებმა, ოსტატმა და შეგირდებმა, გიგლას ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნეს.

ამ დროს თბილისში შორეული ქვეყნებიდან ხშირად ჩამოდიოდნენ ვაჭრები. მათ ათასნაირი ძვირფასი საქონელი ჩამოჰქონდათ, მათ შორის — ტყავეულიც. ვაჭრები თბილისში ქარვასლა-შენობებს ქირაობდნენ, საქონელს იქ ინახავდნენ და იქვე ჰყიდდნენ.

და აი, სწორედ იმ ხანებში, გიგლა რომ დაიკარგა, ჭონებმა უცხოელი ვაჭრებისაგან საქუდე ტყავები იყიდეს. სახელოსნოში გასინჯვის დროს ერთ ტყავზე ცარცით ნაწერი შენიშნეს: „მე, გიგლა, ჭონის შეგირდი, რამდენიმე დღის წინათ რომ დავიკარგე, ამ ტყავის პატრონმა ვაჭრებმა დამიჭირეს. დამწყვდეული ვარ ბატონიშვილის ქარვასლის სარდაფის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც ამ ვაჭრებს უჭირავთ. მიშველეთ, თორემ დღეს თუ ხვალ სპარსეთში წამიყვანენ. ესენი თავიანთ ქარავანს უცდიან. ქარავანი ერთ კვირაში აქ გაჩნდება. თუ მანამდე არ მიშველეთ, სამუდამოდ დავიკარგები“.

ჭონებმა ეს ტყავ-წერილი თავიანთი ამქრის ოსტატს მიუტანეს. ოსტატი პირდაპირ მეფე ერეკლესთან წავიდა და გიგლას წერილი აჩვენა.

მეფე აღშფოთდა. იასაულებს უბრძანა დაუყოვნებლივ გაეჩხრიკათ ბატონიშვილის ქარვასლა და გიგლა ბიჭი მასთან მოეყვანათ. იასაულებმა მეფის ბრძანება შეასრულეს და გიგლა მეფეს მიჰგვარეს.

თბილისში ახალი ხმა დაირხა: „გიგლა ბიჭი იპოვნესო“. გახარებული გიგლას მშობლები მეფის სასახლეში მივიდნენ და შვილის დანახვაზე ცრემლები ვერ შეიკავეს.

სპარსელი ვაჭრები სადღაც მიმალულიყვნენ, მაგრამ მალე შეიპყრეს და სამეფო სამსჯავროში წარადგინეს.

ერეკლე მეფე გიგლას მოეფერა და უთხრა:

— აბა, მიამბე, როგორ დაგიჭირეს ვაჭრებმა.

გიგლამ ყველაფერი უამბო მეფეს: როგორ შეიტყუეს ვაჭრებმა ქარვასლაში, როგორ შეაგდეს ერთ ბნელ ოთახში და კარი გამოუკეტეს.

— მერე, რა გითხრეს ვაჭრებმა, სად წაგიყვანთო? — ჰკითხა მეფემ.

— ერთმა ვაჭარმა მითხრა: მე მდიდარი, უშვილო კაცი ვარ, სპარსეთში წაგიყვან და გიშვილებო.

— როგორ მოახერხე ტყავზე წერილის დაწერა და ჭონებისათვის შენი ამბის შეტყობინება? — კვლავ იკითხა მეფემ.

— ჩვენ, ჭონის შეგირდებს, ჯიბეში მუდამ გვიდევს ცარცი. ავიღე და ერთ ტყავზე დავწერე, რაც თქვენ ახლა მოგახსენეთ. ვიცოდი, ჭონები ვაჭრისაგან ტყავეულს უეჭველად იყიდდნენ და ჩემი ამბავიც გამჟღავნდებოდა...

— ყოჩაღ, გიგლავ, ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ! — შეაქო მეფემ და ხელში ვერცხლის პატარა ქისა ჩაუდო... ასე იხსნა გიგლა ბიჭი თავის საზრიანობამ და მოხერხებამ სპარსელთა ტყვეობისაგან.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.



## ახალი წიგნები











### დღეები ბრესტის სიმაგრეში.

ალ. კალანდაძე

წიგნში გადმოცემულია ბრესტ-ლიტოვსკის სიმაგრეში საბჭოთა მეომრების სამაგალითო გმირობის ამბავი, ამ სიმაგრეს გერმანელმა ოკუპანტებმა ომის პირველ დღეს პირველი ბომბები დააყარეს. ამ თავგანწირულ ბრძოლაში ქართველებიც მონაწილეობდნენ.

### ქართველები ოკეანეში

აკ. ვასაძე

წაიკითხავთ ამ პატარა წიგნს და თქვენს თვალწინ გადაიშლება მეზღვაურის განსაცდელითა და მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრება; გაეცნობით უცხო ქალაქებსა და ნავსადგურებს. იქნებ თქვენც დაგებადოთ სურვილი მეზღვაური გახდეთ?

მეზღვაურობა ხომ მამაცთა და შეუპოვართა პროფესიაა.

### ისინი იცავდნენ ლენინის ქალაქს

დ. შანშაშვილი

ეს წიგნი გამოვიდა სერიით — ,,ქართველები დიდ სამამულო ომში". წიგნში მოთხრობილია ლენინგრადის ბლოკადის დღეებში საბჭოთა ადამიანების გმირობისა და სიმამაცის ამბები, მოხსენიებულია ბევრი ქართველი მეომარი, რომელთაც თავიანთი წვლილი გაიღეს ლენინის ქალაქის დაცვისათვის.

### წლევანდელი ზაფხული წყალტუბოში

რ. ჭეიშვილი

ამ კრებულში მოთავსებული პატარა მოთხრობები მკითხველს აცნობს მწერლის ფიქრებს, განცდებს, მისწრაფებებს და გამოირჩევა ლამაზი, ლაკონური თხრობით.



## მოგზაურთა ხე

აზიისა და აფრიკის ტროპიკულ ტყეებში ხარობს რავანელას ჯიშის პალმა, რომელსაც ხალხმა „მოგზაურთა ხე" შეარქვა. მისი სიმაღლე 6-10 მეტრს აღწევს. ორწყებად განლაგებული, 4 მეტრი სიგრძის ყუნწიანი, უზარმაზარი ფოთლები აქვს, რის გამოც გიგანტურ მარაოს ჰგავს.

რავანელას ფოთლის ყუნწის ძირში ღრუები უჩნდება; ამ ღრუებში საკმაოდ ბლომად გროვდება ცივი წვენი, რითაც მოგზაური წყურვილს იკლავს. ეს იშვიათი სილამაზის მცენარე ხშირად ამშვენებს აფრიკისა და სამხრეთ აზიის ქალაქების გაზონებსა და პარკებს.

## ფეიხოა

ფეიხოა მარადმწვანე, 3 მეტრამდე სიმაღლის ბუჩქოვანი მცენარეა. მნახველის ყურადღებას იქცევს ფოთლების მოვერცხლისფრო შეფერილობითა და სასიამოვნო სურნელებით. გავრცელებულია სამხრეთ ბრაზილიაში, ჩრდილოეთ არგენტინაში, ურუგვაისა და პარაგვაიში. ჩვენშიც ხარობს, კერძოდ — სოხუმში, გაგრაში, ბათუმში და სხვ.

ფეიხოას ნაყოფი ქლიავისებური ფორმისაა, სიმწიფის დროს მოყვითალო ფერი დაჰკრავს და ცვილისმაგვარი ფიფქით არის დაფარული. კანი ადვილად სძვრება, ნაყოფის რბილობი წვნიანი, მომჟავო-ტკბილია, გემოთი და სურნელებით მარწყვს მოგვაგონებს.

ფეიხოას ნაყოფი სამკურნალო თვალსაზრისით დიდად სასარგებლოა: იგი 1,5-3,5 პროცენტამდე ვაშლის სიმჟავეს და 5-10 პროცენტამდე შაქარს შეიცავს, რომელშიაც ჭარბი რაოდენობით არის გლუკოზა და სახაროზა. შეიცავს, აგრეთვე, ხსნად იოდს. 1 კგ ფეიხოას ნაყოფში 2,6-3,9 მილიგრამი იოდია. იოდს ასეთი დიდი რაოდენობით არცერთი კულტურული მცენარის ნაყოფი არ შეიცავს. ფეიხოას ნაყოფისაგან სურნელებით უბადლო მურაბასაც ამზადებენ.

ბ. დათუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანსი სკოლიდან ტანსაცმელშემოგლეჯილი დაბრუნდა.
— რა დაგემართა? — მკაცრად ჰკითხა მამამ.
— მე და ოტომ ვიჩხუბეთ.
— აღმაშფოთებელი ამბავია. სჩანს, შენთვის ახალი კოსტუმის ყიდვა მომიწევს.
— ეს რაა, — ამაყად თქვა ჰანსმა, — შენ ერთი ოტო უნდა გაჩვენა! მამამისს ალბათ ახალი ბავშვის ყიდვა მოუწევს.

■

მამა, დღეს სკოლაში მშობელთა კრებაა, მაგრამ უაღრესად ვიწრო წრისათვის.
— რას ნიშნავს „უაღრესად ვიწრო წრისათვის?"
— იმას, რომ კრებაზე იქნებით მხოლოდ მასწავლებელი და... შენ.

■

მ ა მ ა: რატომ დაგიწერეს ორიანი?
შ ვ ი ლ ი: „შპარგალკის" გამოყენებისათვის.
მ ა მ ა: ისევ იწერდი?
შ ვ ი ლ ი: არა, მე მხოლოდ ჩემი ნეკნები დავითვალე ანატომიის გამოცდაზე.

■

მაქსი სკოლიდან დაბრუნდა.
— სად არის შენი დღიური? — შეეკითხა მამა.
— ჰაინცს ვათხოვე, ერთი მაგრად უნდა შეაშინო მშობლებიო.

■

— მამაჩემს შეუძლია ცალი ხელით გააჩეროს დაძრული მატარებელი, — თქვა ჰანსმა.
— ნუ ტრაბახობ, ეს ხომ შეუძლებელია! — შეედავა პეტერი.
— სრულიადაც არა, მამაჩემი... მემანქანეა.

■

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: ახლა მე თქვენ დაგიმტკიცებთ ამ თეორემას.
მ ო ს წ ა ვ ლ ე: რა საჭიროა დამტკიცება, პატივცემულო მასწავლებელო, ჩვენ ისედაც გვჯერა თქვენი.

გერმანულიდან თარგმნა ს. გელაშვილმა.

ზოგიერთს ჰგონია, ფანქრის წათლაზე იოლი საქმე ქვეყანაზე ალბათ არაფერი არ არისო. ვინც ასე ფიქრობს, ადგეს და ჰკითხოს კონსტრუქტორს, რა გულდადებით უმახავენ წვერს ფანქარს, როცა ზუსტი ნახაზი აქვთ გასაკეთებელი. ფანქარს ჯერ დანით ან სამართებლით 'წაუმახავენ, მერე ხერენგზე ქაღალდზე ულამაზებენ წვერს. მაგრამ თურმე ამ საქმისათვის პირდაპირ მისწრება ყოფილა ფრჩხილის საწმენდი პაწაწინა ქლიბი.



ყოველ ფოტომოყვარეს გამოუცდია, რამდენი წვალება უნდა სურათების ბეჭდვისას ქაღალდის ნომრისა და ფორმატის ძებნა-შერჩევას. სადღა არ ყრია ხოლმე ქაღალდი — მაგიდაზე, სკამებზე, ქიმიკატებით სავსე თეფშებთან... წითელი ნათურის მიმქრალ შუქზე ქაღალდი ერთმანეთში ირევა და ამას სურათების გაფუჭება მოსდევს. როგორ უნ-



და დამყარდეს წესრიგი ფოტოლაბორატორიის რთულ მეურნეობაში? დახედეთ ამ სურათს და ასეთი ფარი თქვენი ლაბორატორიის კედლებზეც გააკეთეთ. ერთი ზომისა და ნომრის ქაღალდები ერთ უბეში ჩააწყეთ, მეორე — მეორეში, მესამე — მესამეში და ა. შ. ფარი შეიძლება ქსოვილისაც იყოს, მუშაობის შემდეგ მისი ჩამოხსნა და ქაღალდებთან ერთად სიბნელეში შენახვა ადვილია.



მილიონობით ლითონის საცობი იკარგება ყოველწლიურად, მათი გამოყენება კი კვლავ შეიძლება. ნახმარი საცობებით შეგიძლიათ ბოთლებს ისევ დაუცოთ თავი. ამისათვის ხის ისეთი ორკაპი გააკეთეთ, როგორიც ნახატზეა ნაჩვენები. ბოთლს საცობი თავზე დაადეთ, ზემოდან ორკაპი დააჭირეთ და მორჩა, საცობი მჭიდროდ დაეცობა. კარგი იქნება, თუ ჰერმეტიზაციისათვის ბოთლს თავზე პარაფინის ხსნარს წაუსვამთ.



ცარცმა რომ თითები არ დაგისვაროთ მას რეზინის ან პოლიეთილენის მილის გადანაჭერი ჩამოაცვით. მეორე მხრიდან მილს ხის ნაჭერი დაუცავით, ცარცის თავის გაცვეთისას თითის დაჭერა და წამოწევა რომ შეგეძლოთ.

●

ფანჯრის მინები შიგნიდან ვერტიკალურად გაწმინდეთ, გარედან ჰორიზონტალურად, ასე იოლად მიხვდებით სად არის გამოტოვებული დასვრილი ადგილი.



### წყურვილის მომთმენნი

როგორც ცნობილია, წყურვილის ყველაზე მომთმენ ცხოველად აქლემი ითვლება. დიდი ხნის უწყლობის დროს აქლემი წონაში ერთი მესამედით იკლებს. თუ ამ დროს მას წყალზე მიუშვებთ, 180 ლიტრამდე დალევს. როგორც კი იგი წყურვილს მოიკლავს, მაშინვე ნორმალური შესახედავი ხდება და თავისი წონა უბრუნდება.

მაგრამ აქლემის რეკორდს მექსიკის სამხრეთში მობინადრე კლდის ციყვმა გადააჭარბა. ამ ცხოველს შეუძლია ასი დღე უწყლოდ გაძლოს. და მაინც, პირველობა კენგურუსებურ ვირთაგვას ეკუთვნის — იგი საერთოდ არასოდეს არ სვამს წყალს.

### რომელია შიდა პირი?

ახლახან გამოიგონეს ქსოვილი, რომელსაც პირველად ვერც კი შეატყობ, რომ ლითონის ვერცხლისფერი მტვრით არის დაფარული. ვისაც ამ ქსოვილის სამოსი აცვია, თაკარა ამინდშიაც კი არ სცხელა. თუ ქუჩაში ცივა, საკმარისია აღნიშნული ქსოვილის სამოსი ვერცხლისფერი პირით შიგნით გადააბრუნო და ისე ჩაიცვა, რომ საკმაოდ დაგთბეს.



ტურისტისა და გეოლოგისათვის, საერთოდ, ყველა მოგზაურისათვის ასეთი ტანსაცმელი პირდაპირ მისწრებაა.

### ორნითოლოგების პროტესტი

ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი (კუნძულ მანჰეტენზე) მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად არის წოდებული. ამ ცოტა ხნის წინათ აშშ-ში შეიმუშავეს პროექტი, რომლის თანახმადაც ამ რაიონში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ორი ცათამბჯენი უნდა აიგოს და ვაჭრობის ცენტრი მათში მოთავსდეს. თვითეული ცათამბჯენი 110-სართულიანი იქნება, ესე იგი, 8 სართულით მეტი ნიუ-იორკის ყველაზე მაღალ ცათამბჯენ ემპირ სტეიტ ბილდინგზე.

აშშ-ის ფრინველთა მეგობრებმა და ორნითოლოგებმა ამ პროექტის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც ცათამბჯენების აგება განზრახული, ფრინველთა მრავალრიცხოვანი გუნდების გადაფრენის ხაზი გადის. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ახალი გიგანტური სიმაღლის სახლები ფრინველებს ღამით ფრენის დროს საშიშ დაბრკოლებას შეუქმნის.

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ემპირ სტეიტ ბილდინგი ყოველწლიურად ასობით ფრინველს იწირავს, რომლებიც სიბნელეში ფრენისას ამ გოლიათი შენობის კედლებს მთელი ძალით ეხარცხებიან. სპეციალისტებსაც სწორედ ეს ამბავი აშფოთებთ.

### ცისტერნები უდაბნოში

კაქტუსს, რომელიც მექსიკისა და ბრაზილიის ზეგნებზე ხარობს, განსაკუთრებულად მსხვილი და ხორციანი ღერო აქვს. ზოგიერთი მათგანი 8000 ლიტრამდე წყალს შეიცავს. გვალვიან უდაბნოებში ეს კაქტუსები მაცოცხლებელი სითხით სავსე ნამდვილი ცისტერნებია.

კაქტუსის „ორგანიზმიდან" წყალი მცირე რაოდენობით ორთქლდება. ამ მცენარის ეკლები მარტო აორთქლების შემცირებას როდი ემსახურება, ჰაერში არსებული ტენის უმცირეს ნაწილაკებსაც იჭერს.



# კოპაკაბანა ჩემი სტადიონი

ამბობენ, ბრაზილიელი ფეხბურთელად იბადებაო. ცხადია, ეს გადაჭარბებული თქმაა, მაგრამ არც თუ მთლად შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ყველა ოჯახში ვაჟის დაბადებას ღიმილით ხვდებიან: ფეხბურთელი იქნება. — იმედით ამბობენ მამები.

ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვისენტე ფეოლა სან-პაულოში შეხვედრისას მეუბნებოდა: „ფეხბურთი ბრაზილიაში ღარიბების თამაშია. მდიდრები ფეხბურთს არ თამაშობენ, მათი საყვარელი გასართობია ჩოგბურთი, ცურვა, წყალქვეშა ნადირობა.." იმდენად, რამდენადაც ღარიბებისათვის სიმდიდრისაკენ მიმავალი ყველა გზა დაკეტილია, მილიონთა ეს საყვარელი თამაში, ერთადერთი საშუალებაა „საზოგადოებაში გამოსვლისათვის".

— ჩემი კეთილი ფეხბურთი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი რა მელოდა მე, — თქვა ერთხელ პელემ.

ღარიბ-ღატაკთა შვილები ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. ოჯახის მამა დღედაღამე ოფლში იწურება ლუკმაპურის საშოვნელად. დედა რეცხავს, კემსავს, ჯახირობს. ბიჭები კი, ოდნავ მოიმაგრებენ თუ არა მუხლს, მთელი დღეები ჭინჭის ბურთს დასდევენ. ეს, ნახევრადმშიერი და შიშველი ბავშვობაა მცხუნვარე ტროპიკული მზის ქვეშ, — გაჭირვებული და ყოველგვარ იმედს მოკლებული ბავშვობა. სკოლა ხომ ფიქრადაც არ გაიელვებს მათს გონებაში. თუ მოზარდი ბიჭუნა ფეხბურთელი ვერ გახდება — ოჯახში ტრაგედია ტრიალებს და იმედგაცრუებული მამა

გულდაწყვეტილი ამბობს ხოლმე: რა გაეწყობა, იძულებული ვარ სასწავლებლად მოგაბარო.

სწავლა კი ძვირია. საჭიროა სახელმძღვანელოები, რვეულები, საწერ-კალამი და რაღაც ტანსაცმელის მსგავსი რამ. — ყველაფერი ეს კი ფულია, ფული... დაწყევლილი კრუზეირო!

ბავშვები ძლივს აღწევენ მესამე-მეოთხე კლასამდე და მერე იძულებულნი არიან მიატოვონ სკოლა, იზრუნონ ლუკმა-პურისათვის. მუშაობენ დამტარებლებად მაღაზიაში, ხელზე მოსამსახურედ და ყველა მოპოვებულ კრუზეიროს შინ მიარბენინებენ.

მხოლოდ ერთი ახარებს პატარებს, — ბიჭები თავდავიწყებამდე გატაცებით თამაშობენ ფეხბურთს. ბურთს დასდევენ ყველგან; მინდორში, მდელოზე, ჭიშკართან, ჩიხებში, ვიწრო დერეფნებში, სკვერებში, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში და პლაჟზე. სახელგანთქმული პელე, მაგალითად, თითქმის თხუთმეტ წლამდე ხევში თამაშობდა ფეხბურთს.

ფეხბურთი ბრაზილიაში აჟიოტაჟით ნაშობი ვნებაა. გაუთავებელი კამათი შინ და ქუჩაში, გრძელი საუბრები რადიოსა და ტელევიზიის „მრგვალ მაგიდასთან“. გაზეთებისა და ჟურნალების პირველი გვერდები, როგორც წესი, მუდამ ფეხბურთს ეძღვნება. ეთერში განუწყვეტლივ ისმის ფეხბურთის კომენტატორთა ტყვიამფრქვევისებური კაკანი. ყველას პირზე აკერია ღარიბ-ღატაკთა კვარტალებიდან გამოსული სათაყვანებელი პელესა და ედუს, ჟაირზინიოს და ტოსტაოს, გერსონეს და სხვათა სახელები, მათს თვითეულ ნაბიჯს გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს ექიმები და პრესა. სახელგანთქმული ფეხბურთელების ყბებიდან ამოგდებულ ყოველ კბილზე დაუყოვნებლივ იუწყებიან გაზეთები და რადიო. უფროსები შურით შესცქერიან, მოზარდები — ბავშვობიდანვე ავადდებიან საფეხბურთო ვნებებით. ხუთი წლის ბრაზილიელი თავგამოდებული გულშემატკივარია. მე ვნახე ექვსიოდე წლის ბიჭუნა, რომელსაც ისე მაგრად ჩაევლო ხელები სტადიონის რკინის მესერისათვის, რომ თითები მთლად გასთეთრებოდა, სხეული უთრთოდა და, თვალზე ცრემლმორეული, საოცრად განიცდიდა სათაყვანებელი „ბოტაფოგოს“ იმდღევანდელ მარცხს.

მუდამდღე საჭმლის უკმარისობისაგან გამხდარნი, ღონემიხდილნი, ნერვებმოშლილნი და აღგზნებულნი, 12-13 წლის ბიჭები, ადვილად რომ მოდიან აღტაცებაში და ასევე ადვილად ვარდებიან სასოწარკვეთილებაში, ცირკის ჟონგლიორთა ვირტუოზულობით ჰფლობენ ბურთს.

ერთხელ, საბჭოთა ნაკრებისა და „კორინტიანსის“ მატჩის შემდეგ, ბრაზილიელებმა ჩვენი ფეხბურთელები ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქში გაასეირნეს. პლაჟზე ყველა ინტერესით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა ფეხბურთელებს. იქვე იდგა თორმეტიოდე წლის გამხდარი ბიჭუნა. მას დაკერებული ტრუსები ეცვა და ხელში რეზინის ბურთი ეჭირა.

— ვითამაშოთ? — გამოელაპარაკა ბიჭს მიხეილ მესხი და მალე, თავური დარტყმებით ერთმანეთს დაუწყეს ბურთის მიწოდება. უნდა გენახათ რა კარგად ჰფლობდა ის ბიჭუნა ბურთს, — მსუბუქად, თავისუფლად, თითქმის ზედაც კი არ უყურებდა; ეშმაკურად გასცქეროდა მესხს და იღიმებოდა.

ათასობით ასეთი ბიჭუნა ფუტკარივით ეხვევა საფეხბურთო კლუბებს, როცა მწვრთნელები ფეხბურთელთა მორიგ შევსებას არჩევენ. მაგრამ, აყვანით კი, ერთს ან ორს თუ აიყვანენ...

გუნდების შესავსებად ბრაზილიის კლუბები სხვადასხვა ხერხს იყენებენ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია „ვარსკვლავებით“ ვაჭრობა. ფეხბურთი ბრაზილიაში ისეთივე ბიზნესია, როგორც მაგალითად, ავტომანქანებით, ბანანებით, ხორცით, მამაკაცის პერანგებითა და ხე-ტყით ვაჭრობა. მართალია, „ვარსკვლავი“ ძვირად ფასობს, მაგრამ, სამაგიეროდ, გაუშვებენ თუ არა ბრუნვაში „ვარსკვლავი“ სწრაფად ანაზღაურებს დანახარჯს და მერე მოგებას იძლევა.

ზოგიერთმა კლუბმა, მათ შორის „სანტოსმაც“, ახალგაზრდული სკოლები შექმნა, სადაც მოთამაშეთა ძირითად ცვლას ამზადებენ. მაგრამ ეს ძვირი უჯდებათ და ამიტომ, უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ ფეხბურთელების „ქუჩიდან“ აყვანა. კლუბები ხშირად აწყობენ ქუჩის გუნდების მატჩებს, რათა მოზარდებს შორის შეარჩიონ საფეხბურთო ნიჭით ყველაზე უფრო დაჯილდოებული ბიჭები.

რიოში, კოპაკაბანას პლაჟზე, პირდაპირ ქვიშაში ჩარჭობილია დაფლეთილბადეებიანი კარები და ბეტონის მაღალი ბოძი, რომელზეც პროჟექტორია დამაგრებული. აქ, საღამოობით, როცა მცხუნვარე მზე მთებს მიეფარება და შედარებით აგრილდება, იწყება შეჯიბრებები. ამ დროს იქვე, ტროტუარზე მეთვალყურე მოკალათდება ხოლმე და ყურადღებით აკვირდება ყველა მოთამაშეს. დავთარში შენიშვნებს იწერს და შემდეგ კლუბის მეპატრონეებს შესთავაზებს მორიგ კანდიდატურას.

ფეხბურთელების „ქუჩიდან“ აყვანა მომგებიანია. მას ცოტას უხდიან. მისი ხელფასი დამლაგებლის ხელფასს არ აღემატება. თან დაბეჯითებით ეუბნებიან, რომ ახალბედამ ეს ბედნიერებად



ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩათვალოს. „ქუჩიდან“ აყვანილ მოთამაშეს გამოწვრთნა არ ესაჭიროება, იგი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. ასე „ქუჩიდან“ მოხვდა „ბოტაფოგოს“ კლუბში 17 წლის გარინჩა, რომელიც ერთი თვის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. ედსონ არანტეს დო ნაშსიმენტო, უფრო პელეს სახელით ცნობილი, 16 წლისა იყო, როცა „სანტოსში“ მოიყვანეს და ერთი წლის შემდეგ ნაკრების ღირსებას იცავდა, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ეს ფეხბურთელები ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდნენ კლუბებში; „ბოტაფოგოსა“ და „სანტოსის“ ყოფილმა ფეხბურთელებმა შემთხვევით ნახეს მათი თამაში და ჩრდილიდან სამზეოზე გამოიყვანეს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ კლუბში ედსონის მიღება საერთოდ არ უნდოდათ. იგი ვალდემარ ბრიტომ მიიყვანა და თქვა:

— მე მოგიყვანეთ ზანგი ბიჭუნა. აბა, მიეცით ბუტსები. იგი მსოფლიო ფეხბურთელი გამოვა.

ის, რომ ბრიტომ იპოვა პელე, ახლა ყველაზე დიდ საგმირო საქმედ მიაჩნიათ ბრიტოს ცხოვრებაში. ვალდემარი შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მაგრამ მაშინ არავის არ სურდა დაეჯერებინა მისთვის, რადგან კლუბის მეპატრონეების წინაშე იდგა უძლური, ფეხშიშველი, ძალზე შავი ჭაბუკი, რომელიც კუთხეში მომწყვდეული, შეშინებული საცოდავი ლეკვის თვალებით იცქირებოდა.

— როცა მე „სანტოსში“ მოვხვდი, — იგონებს ედსონი, — კლუბის მეპატრონე ვასკონსოლოსი იყო. იგი აკეთებდა ყველაფერს რასაც მოისურვებდა, უამრავ ფულს იხვეჭდა. რამდენიმე თვის მანძილზე ხელზე მოსამსახურედ ვყავდი. ვიდექი იმ მაგიდასთან, რომელზეც ფეხბურთელები და ვასკონსოლოსი სადილობდნენ და დაუსრულებლად მესმოდა: „მოიტანე ყავა“, „აბა გავარდი მაღაზიაში და გუარანო მოარბენინე“.

ასე დაიწყო ბრაზილიელი ფორვარდის ცხოვრების გზა. მართალია, ედსონის მამაც ფეხბურთელი იყო, და, არც თუ ურიგო, მაგრამ პროფესიონალებშიც კი ვერ მოხვდა.

რიცხვი იმ ბიჭებისა, რომლებიც ოცნებობენ გახდნენ ისეთნი, როგორიცაა პელე, გარინჩა, ედუ ბრაზილიაში ძალიან დიდია, მაგრამ ბედი განა ყველას უღიმის? მრავალი მათგანი სიცოცხლეს ისე ამთავრებს, რომ ჩრდილში მიმალული და სახელმოუხვეჭელი რჩება.

ბრაზილიელი ფეხბურთელად იბადება და ფეხბურთელადვე კვდება.

ა. კოზლოვი.

# აკვარიუმები

რედაქციამ მიიღო თბილისის მე-60 საშ. სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლის ივანე ნანობაშვილის წერილი, იგი მოგვითხრობს თუ როგორ უვლის აკვარიუმში თევზებს. ამ წერილისათვის ჩვენ მას მადლობას ვუძღვნით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი უფრო ვრცელ და პროფესიონალურ გაშუქებას იმსახურებს, ამიტომ გთავაზობთ სპეციალისტ, იხტიოლოგის რ. ელანიძის წერილს.

„აკვარიუმი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად წყალსაცავს ნიშნავს. წყალსაცავი ანუ აკვარიუმი შეიძლება იყოს დიდი ტევადობის, ზღვასთან, ტბასთან ან მდინარესთან დაკავშირებული, და, მცირე მოცულობისა ისეთი, ოთახებში რომ დგამენ.

აკვარიუმი წყლის ცხოველებისა და მცენარეების უმეტესად კი თევზების მოსათავსებლად ეწყობა, მცირე ტევადობის აკვარიუმი, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღებში, საცდელ სადგურებსა და სკოლებში დაკვირვებისა და სწავლებისათვის იდგმება. საცხოვრებელ სახლებში კი — დეკორაციისა და ჰიგიენის თვალსაზრისით.

აკვარიუმი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ეგვიპტეში, ჩინეთში და იაპონიაში თევზსაშენი და დეკორაციული წყალსაცავები ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა, ევროპასა და რუსეთში კი მე-19 საუკუნიდან გვხვდება. საქართველოში აკვარიუმები უმთავრესად მონასტრებთან ჰქონდათ მოწყობილი.

აკვარიუმის სიდიდე და ფორმა დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე. დეკორაციული აკვარიუმი რკინის ჩარჩოიანი მინის ყუთია ან მინისავე სხვადასხვა ფორმის ქილა.

აკვარიუმის მინის კედლები სუფთა უნდა იყოს და მისი შიდა ხედი ისე უნდა მოეწყოს, რომ წყალქვეშა სამყაროს დაემსგავსოს. ამ მიზნით კი აკვარიუმის ფსკერი კარგად გარეცხილი ქვიშით უნდა დაიფაროს. ქვიშაზე ალაგებენ მოზრდილ კენჭებს, ნიჟარებსა და სხვადასხვა საგნებს. აკვარიუმის ფსკერზე აუცილებლად უნდა განლაგდეს წყალმცენარეები, რადგან, ისინი, გარდა იმისა, რომ აკვარიუმს შნოსა და ლაზათს ჰმატებენ, აუცილებელია თევზების არსებობისათვის. ცნობილია, რომ მცენარეები დღის სინათლეზე ჟანგბადს გამოჰყოფენ და შთანთქავენ ნახშირორჟანგს, ღამით კი, ეს პროცესი პირიქით ხდება. ამიტომ აკვარიუმის წყალმცენარეებით მორთვისას აუცილებელია ზომიერების დაცვა. აკვარიუმისათვის განკუთვნილი მცენარე აუცილებლად უნდა გასუფთავდეს უვარგისი ნაწილებისაგან, კარგად გაირეცხოს და, შემდეგ, სასურველია ჩაისვას თიხის პატარა



ქილებში და ისე ჩაიფლას ფსკერზე დაყრილ ქვიშაში. აკვარიუმში გამოსაყენებელი წყალმცენარე უამრავია. მათი უმეტესობა ტროპიკული წარმოშობისაა. ჩვენში გავრცელებული მცენარეებიდან შეიძლება გამოვიყენოთ ვალისნერია, წყლის ხავსი, ფრთაფოთოლა, მირიოფილუმი და სხვა. აკვარიუმში აუცილებლად სუფთა და გამჭვირვალე წყალი უნდა ჩაისხას. ონკანიდან აღებული წყალი 2-3 დღის განმავლობაში სუფთა უჟანგავ ჭურჭელში უნდა მოთავსდეს, რათა კარგად დაიწმინდოს. ცნობილია, რომ წყალსადენის წყალს ხშირად ქლორს ურევენ დეზინფექციისათვის, ეს კი თევზისათვის საწამლავია.

ბუნებაში 2.000-ზე მეტი სააკვარიუმო თევზია ცნობილი. მათგან კი უფრო მეტად 100-200 სახეობაა გავრცელებული. ამ თევზების უმრავლესობა ინდოეთის, ჩინეთისა და ამერიკის ტროპიკული წყლებიდან შემოჰყავთ და სპეციალურ ზოოლოგიურ მაღაზიებში იყიდება. ასე რომ, მსურველს შეუძლია შეიძინოს ოქ-





როს თევზი, კომეტა, ტელესკოპა, შავხავერდა, კუდმახვილა, მაკროპოდა, ციხლაზომა და სხვ. (ამგვარი მაღაზია თბილისშიც არსებობს, ლენინის ქუჩა № 67-ში) იქვე იყიდება სხვადასხვა ზომის აკვარიუმები, წყალმცენარეები და საკვებიც.

ოთახის აკვარიუმში, ტროპიკული თევზების გარდა შეიძლება გაიშვას ადგილობრივი მტკნარი წყლის თევზები: ტაფელა, კვირჩხლა, გამბუზია, ლოქორია, ნაფოტა და სხვები.

აკვარიუმის თევზები უმეტესად წყლის პაწაწინა უხერხემლო ცხოველებით იკვებებიან: დაფნიებით, ციკლოპებით, ციბრუტელათი, კოღოს ჭუპრებით, მატლებით, ჭიებით, დღიურას მატლებით და სხვა. ყველა ესენი მოიპოვება მდინარეებში ტბებში და წყალსაცავებში. აკვარიუმის თევზს დღეში ერთხელ, ზომიერად ჰკვებავენ. ზომაზე მეტად მიწოდებულ საკვებს თევზი ვერ ითვისებს და აკვარიუმს ანაგვიანებს. ცოცხალი საკვების უქონლობისას მშრალი საკვებიც იხმარება, მაგალითად, ახალი ხორცის მცირე ანათლები. ხანდახან, საკვების მიწოდება თუ დროულად არ მოხდა, საშიში არ არის. თევზს შეუძლია 2-3 დღე თვითონ ირჩინოს თავი აკვარიუმის წყალმცენარეებითა და იქ მყოფი პაწაწინა ცხოველებით. ამით კი თევზი თვითონ ასუფთავებს თავის საცხოვრებელს.

სხვადასხვა თევზი წყლის სხვადასხვა ტემპერატურას ეგუება. ამიტომ აკვარიუმის ტემპერატურა ამის მიხედვით უნდა დავიცვათ. ასევე აუცილებელია წყლის ჰაერაცია ანუ ჟანგბადით გამდიდრება. ამისათვის კი სპეციალურ ელექტროკომპრესორს იყენებენ, რომელიც დენის საშუალებით წყლის მუდმივ ჭავლს ჰქმნის და მას ჟანგბადით ამდიდრებს.

აკვარიუმი მისთვის შესაფერ ადგილზე უნდა დაიდგას. ტემპერატურასა და ჰაერაციასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს მის განათებასაც, რადგან სინათლის სიჭარბეც და ნაკლებობაც უარყოფითად მოქმედებს თევზზე.

ჩვეულებრივად, აკვარიუმში გროვდება ხოლმე თევზის გამონაყოფი, საკვების ნარჩენები, ჩნდება თევზისათვის უვარგისი წყალმცენარეები და ყველაფერი ეს კი ძალზე აბინძურებს მას. ამიტომ პატარა აკვარიუმები თითქმის ყოველდღე უნდა გაიწმინდოს, დიდები კი — კვირაში ერთხელ მაინც. დროდადრო აკვარიუმის გრუნტის გარეცხვაც საჭიროა. თუ აკვარიუმში ძლიერ მომრავლდება უვარგისი წყალმცენარეები, აკ-

# საძიებელი

**ნ. მგელაძე** — სიტყვა, საქმით დამშვენებული (ნარკვევი) . . . . გარეკ. . . . 2
**ს. შამფრიანი** — ჩემი მამული (ლექსი) . . . 3
**ს. ვინოგრადსკაია** — „ბედნოტის“ შიკრიკი (მოთხრობა) . . . . . . . . 4
**ნ. კილასონია** — აი, ეს არის შემოდგომა (ლექსი) . . . . . . . . 7
**ვ. ჩეკურიშვილი** — გედეხაური (მოთხრობა. დაასრული) . . . . . . . . 8
**ნ. კიკნაძე** — კერამიკა (წერილი) . . . . . 14
**გ. ჭიჭინაძე** — ჭრელი ბურთი (პიესა-ზღაპარი) . . . . . . . . 18
**ე. ამბოკაძე** — დიდი გზის სათავესთან (წერილი) . . . . . . 24
**ფ. იანაკოპულუ** — ელადის პირმშონი (ლექსი. თარგმანი ნ. გაბრიჩიძისა) . . . . . 25
**ვ. სიდამონიძე** — გიგლა ბიჭის ამბავი (ნამდვილი ამბავი) . . . . . . . . . 26
ახალი წიგნები — . . . . . . . . . 27
ბუნების კარი . . . . . . . . . . 27
უცხოური იუმორი . . . . . . . . 28
გამოცანები . . . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 29
**ა. კოზლოვი** — კოპაკაბანა — ჩემი სტადიონი (წერილი) . . . . . . . . 29
**რ. ელანიძე** — აკვარიუმი (წერილი) . . . 31

გარეკანის პირველ გვერდზე — „მომავლის ნერგი“, მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მთავარი რედაქტორი ბაბულია ველია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, ხერგოლ კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-88 პ/მგ. მდივნისა და მხატვარ.-რედაქტ.—93-94-87 განყოფილებების—93-94-29

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина, 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11596 ტირ. 87.750. ბირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 11/X-68 წ. სტამბის შეკვ. 3508.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.



კვირჩხლა



ტაფელა

კარიუმს სქელ ქსოვილს შემოახვევენ ხოლმე რათა შუქი არ შევიდეს, — სიბნელეში წყალმცენარეები ისპობიან და აკვარიუმიც სუფთავდება.

აკვარიუმების მოყვარულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წყლის თერმომეტრი, ელექტროკომპრესორი, სიფონი, გრძელტარიანი ჯაგრისი და საკვები მწერების საზიდი ჭურჭელი.

**როსტომ ელანიძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**



ცეცხლოვანი ბარბუსი



მაკროპოდა



შავხავერდა

ИНДЕКС 76157





ციხლაზომა



კომეტა



ტელესკოპა



ოქროსფერი



კუდმახვილა





ციხლაზომა